140
1979/2

ISSN 0132 — 5973

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

4
1979



საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა.

# თავდადებული შრომის დამაგვირგვინებელი ჯილდო

მ ე გ ო ბ ა რ ო! 1979 წლის 11 მარტი შენი მშობლიური რესპუბლიკის სახელოვან ისტორიაში შევა, როგორც ნამდვილი დღესასწაული. თქვენმა მამებმა, დედებმა და უფროსმა და-ძმებმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ჯერ არნახულ წარმატებებს მიაღწიეს და მეექვსედ დაიმსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

მიიღეს რა სამშობლოს მაღალი ჯილდო, მათ კვლავაც აღუთქვეს მშობლიურ პარტიას, რომ საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია განუხრელად განამტკიცებენ ხალხთა ლენინურ მეგობრობას და ღირსეულად ატარებენ ამ დროშას კომუნიზმის მშენებლობის ახალი შრომითი გამარჯვების გზით.

ამ დიდ სახალხო გამარჯვებაში შენ და შენს მეგობრებსაც გიდევთ წილი. თქვენი წარმატებები სწავლაში, სანიმუშო ქცევა ხომ ყველაზე დიდი სიხარულის წყარო იყო თქვენი მშობლებისათვის, ყველაზე დიდი იმპულსი მაღალი შრომითი მწვერვალების დასაპყრობად.

თქვენი პატარა ხელებით გაფურჩქნილი ვაზი, მოვლილი ნარგავები, შეგროვილი თავთავი, საშეფო მეურნეობებსა და საწარმოებში გამართული მხატვრული კონცერტები, შეგროვილი ჯართი, მაკულატურა ეს ყველაფერი ხომ მნიშვნელოვანი მატერიალური ღირებულების გარდა უდიდესი მორალურ-ზნეობრივი აქციებია, რომელიც გზრდით და გაწრთობთ საბჭოთა ქვეყნის მომავალ ბატონ-პატრონებს, მის ხვალინდელ დღეს.

მაშ, უფროსების მხარდამხარ, კვლავ ახალი ძალ.ითა და ენერგიით აკეთეთ თქვენი პიონერული საქმეები, სახელოვნად იარეთ საკავშირო პიონერული მარშის ახალ ეტაპზე — „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენინი

გიორგი ლეონიძე

ნაწყვეტი



მხატვარი ი. მანუხინი

ლენინის სიტყვა?
მწამს,
მომავალშიც
გულისფიცარზე
ყველას ეწეროს:
ვარსკვლავად კრთოდეს,
მზედ ენთოს თვალში,
რწმენაში ვარდად
აღმოეცენოს!

სისხლსა და ხორცში იჭედებოდა
ლენინის სიტყვა,
ლენინის აზრი;
ვით იარაღი,
თან დაჰყვებოდა
მუშებს ეს სიტყვა—
მჭრელი და ბასრი!

— ჰკვეთავს ლენინის აზრი
ხმალივით
და ალმასივით არ იღუნება,
უმლევველია ქარიშხალივით
აზვირთებული მისი ბუნება.
— ბნელს რომ მოჰგლეჯავს
მირფესვიანად,
ეს სიტყვებია გასაგონებლად.
— გულსაც რომ დასწვავს
და სულს რომ ასწევს
და არწივებთან
აჭყავს გონება...
ცალად რომ არის
ლენინის სიტყვა,
ცალად გრიგალი აეწონება!

ვაზნაში ედოთ
და ყუმბარაში,
თავისუფლების დასაბრუნებლად.
— ლენინი არის
ხალხის დარაჯი,
გამვეფხვებია მისგან ბუნება,
გულზე ამსხმია
არწივის ფრთები.
წინ, მომავლისკენ,
გასაქროლებლად!
ცალად რომ არი
ლენინის სიტყვა,
ცალად გრიგალი აეწონება!

გამოდის 1926 წლიდან
საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი
პიონერი
4 აპრილი 1979
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

**ოთარ ქინქლაძე,**
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

1979 International Year of the Chid

# განათლების უფლება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია, რომელიც უკვე მეორე წელია ცხოვრობს და მოქმედებს, ამჯერადაც საქვეყნოდ აცხადებს, რომ სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება. „ამჯერადაც“ ნიშნავს იმას, რომ განათლების საყოველთაო უფლებას ამკვიდრებდა ჯერ კიდევ 1918 წლის პირველი საბჭოთა კონსტიტუცია, აგრეთვე სსრ კავშირის 1924 და 1936 წლების კონსტიტუციები.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში სსრ კავშირის მოქალაქეთა განათლების უფლებას, როგორც ეს ახალი კონსტიტუციის 45-ე მუხლშია აღნიშნული, უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლება, ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარება ცხოვრებასთან და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე; დაუსწრებელი და საღამოს განათლების განვითარება; სახელმწიფო სტიპენდიებისა და შეღავათების მიცემა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის; სასკოლო სახელმძღვანელოების უფასო გაცემა; სკოლაში დედაენაზე სწავლების შესაძლებლობა; თვითგანათლების პირობების შექმნა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცნება „განათლების უფლება“ ასეთი სახით აქამდე არ განმარტებულა და არც ამ უფლების უზრუნველყოფის გზები და საშუალებები ყოფილა ჩამოყალიბებული. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირმშოა და ამ ეტაპზე, როცა სოციალიზმი უკვე საკუთარ საფუძველზე ვითარდება, სულ უფრო სრულად ვლინდება სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობა, მშრომელები კი სულ უფრო ფართოდ სარგებლობენ დიადი რევოლუციური მონაპოვრების ნაყოფით. ერთ-ერთი ასეთი ნაყოფია განათლების უფლებაც, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე თვისებრივად ახალ, კიდევ უფრო მაღალ ხარისხშია აყვანილი.



ეს უფლება უზრუნველყოფილია ყველა სახეობის უფასო განათლებით, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პერიოდში მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა არ იხდის ე. წ. „სწავლის ქირას“ — გადასახადს, რომელიც ჩვენში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე იყო და კაპიტალისტურ ქვეყნებში ამჟამადაც არის დაწესებული.

მაგრამ „უფასო განათლება“ ისე როდი უნდა გავიგოთ, თითქოს განათლების მიღებას ფინანსები არ სჭირდებოდეს. არა, სჭირდება და დიდძალი თანხაც, რომელსაც ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო გამოჰყოფს და ამით სავსებით და მთლიანად უზრუნველყოფს ყველა სახეობის უფასო განათლებას. ეს კარგად უნდა ახსოვდეს ყოველ მოსწავლე ახალგაზრდას — იგი პატივს უნდა სცემდეს იმ ადამიანთა შრომას, რომელთა მიერ შექმნილი დოვლათის ხარჯზე ღებულობს უფასო განათლებას, და მთელი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს თავისი მოვალეობის შესრულებას — სწავლობდეს პატიოსნად და ბეჯითად.

თუ რა კოლოსალური სახსრები ხმარდება უფასო განათლების ორგანიზაციას, ამას ორიოდე მაგალითიც თვალნათლივ დაგვანახვებს.

გასული წლის დეკემბერში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეათე სესია, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1979 წლის სახელმწიფო გეგმა და ბიუჯეტი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, რომელსაც კანონის ძალა აქვს, 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის დაწესებულია 1.115.539 ათასი მანეთი. ეს თანხა მიმდინარე წელს მოხმარდება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებს, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს, კლუბებს, თეატრებს, ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს, ტელევიზიას, რადიომაუწყებლობას, ფიზიკური კულტურის განვითარებას, სკოლამდელ დაწესებულებებს, განათლებისა და კულტურის სხვადასხვა ღონისძიებებს.

თითოეულ მოსწავლეზე სახელმწიფო წელიწადში ხარჯავს საშუალოდ 180 მანეთს. გაცილებით მეტი

ხმარდება სკოლა-ინტერნატებსა და გახანგრძლივებული დღის სკოლებს. დიდძალი თანხებია გამოყოფილი სკოლამდელი და სასკოლო შენობების აგებისათვის. ერთი 140-ადგილიანი საბავშვო ბაღის აგებას 180 ათასი მანეთი, ხოლო საშუალო სკოლის ახალ შენობას — 600 ათასამდე მანეთი სჭირდება.

ასე უზრუნველყოფს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო სსრ კავშირის მოქალაქეთა განათლების უფლებას, რაც ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონით — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციით არის გარანტირებული და გულისხმობს ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელებას სხვადასხვა სახეობის სასწავლებლებში.

ასეთი სასწავლებლების ერთ-ერთ სახეობას, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, რომლის რვაკლასდამთავრებული მოსწავლეები სწავლას IX-X კლასებში განაგრძობენ და ამ გზით ღებულობენ საშუალო განათლებას. არსებობს სხვა გზაც— პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომელიც სათანადო პროფესიასთან ერთად სრულ საშუალო განათლებასაც იძლევა, აგრეთვე საშუალო სპეციალური სასწავლებელი, რომლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას შეუძლია იმუშაოს როგორც მისთვის საინტერესო მატერიალური წარმოების, ასევე მომსახურეობის, კულტურის, სამედიცინო სამსახურისა და ა. შ. სფეროებში. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში საგანგებო ყურადღება დაეთმო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რვაკლასდამთავრებული ახალგაზრდებით პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა დაკომპლექტების სრულყოფის აუცილებლობას.

ასეთი სრულყოფის მიზანია, რვაკლასდამთავრებულ ახალგაზრდას მიეცეს სწავლის გაგრძელების ფართო არჩევანი და მარტოოდენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლით არ შემოიფარგლოს. ეს გარემოება „განათლების უფლების“ ცნებას კიდევ უფრო დიდ დიაპაზონს ანიჭებს და ამა თუ იმ რაიონსა თუ ქალაქში კვალიფიციურ კადრებზე არსებულ მოთხოვნილებასთან ერთად ითვალისწინებს თვით მოსწავლეების მიერ სასწავლებლის არჩევის უფლებას, რისთვისაც ისინი დროულად და სათანადოდ უნდა იყვნენ ორიენტირებულნი. ამ მიზნით, ქალაქისა და სოფლის სკოლის პირობების შესაბამისად, პიონერებმა და მოსწავლეებმა ყოველმხრივ უნდა გამოიყენონ საწარმოთა სასწავლო საამქროები, სასკოლო მიწის ნაკვეთები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ახლომდებარე ფერმების შესაძლებლობანი, სკოლათაშორისი სასწავლო-საწარმოო კომბინატები და, აგრეთვე, როგორც ამას დადგენილება ითვალისწინებს, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები.

თავის სიტყვაში — „ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები“ — (რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის III ყრილობაზე 1920 წლის 2 ოქტომბერს) ვ. ი. ლენინი ახალგაზრდებს ურჩევდა საგარეუბნო ბოსტნებში მუშაობას, სოფლად ან თავის უბანში სისუფთავის დაცვაში დახმარებას და ა. შ. ისე, რომ „ყოველდღე ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც სულ უბრალო, ამოცანას“.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში პიონერებისა და მოსწავლეების აქტიურ მონაწილეობას, აგრეთვე მათი ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა-განვითარებას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს განათლების შემდგომი განგრძობის და სპეციალური და პროფესიული მომზადების პროფილის შეგნებული შერჩევისათვის.

სწორი პროფესიული ორიენტაცია და მომავალი პროფესიის შეუცდომელი არჩევა შესაძლებელია განხორციელდეს კონსტიტუციით გათვალისწინებული ყველა სახეობის უფასო განათლების მიღების გარანტირებული უფლების პირობებში, ცხოვრებასთან და წარმოებასთან სწავლების კავშირის საფუძველზე.

პიონერთა რაზმებსა და რაზმეულებს ასეთი კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების მრავალნაირი, ფორმითა და შინაარსით საინტერესო, მდიდარი შესაძლებლობანი აქვთ. ეს შესაძლებლობანი ფართოდ უნდა გამოვიყენოთ, რათა პიონერული ცხოვრება არ გადაიქცეს მოსაწყენ ღონისძიებათა ჩატარების არედ.

კომუნისტური საზოგადოების მშენებელი მომავალი თაობის საყოველთაო განათლების საკონსტიტუციო უფლების გარანტიის მჭევრმეტყველური დადასტურებაა, აგრეთვე, უფასო სახელმძღვანელოები, სკოლისგარეშე დაწესებულებების და საბავშვო ბიბლიოთეკების ფართო ქსელი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კერების პიონერთა და მოსწავლეთა სამსახურში უსასყიდლოდ ჩაყენება.

პიონერთა და მოსწავლეთა უფროს მეგობრებს სწამთ, რომ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია დღევანდელი ახალგაზრდობის სახით ღირსეულ შევსებას მიიღებს.

ბედნიერი მგზავრობა მათ დიდი ცხოვრების გზაზე!

# დედა-სამშობლო-ბავშვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

### განათლების უფლება

საბჭოთა კავშირში ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 50 მილიონამდე მოზარდი.

თითქმის ექვსი ათას ხუთასი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ამზადებს მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, 1100-ზე მეტი სპეციალობის მიხედვით.

1978 წ. ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული იქნა მილიონზე მეტი ახალგაზრდა.

### დასვენების უფლება

ზაფხულში პიონერულ ბანაკებში ისვენებდა 11 მილიონი ბავშვი.

საბჭოთა კავშირში 4500 პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე და სახლია;

ათასზე მეტი ნორჩ ტექნიკოსთა სადგური;

641 ნორჩ ნატურალისტთა სადგური;

155 საბავშვო და მოზარდ მაყურებელთა თეატრი;

38 საბავშვო რკინიგზა.

საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთების საერთო ტირაჟი შეადგენს 40 მილიონ ეგზემპლარს.

საბავშვო ბიბლიოთეკების რიცხვი 8 ათასამდეა.

### ჯანმრთელობის დაცვის უფლება

სსრკ-ში ათასზე მეტი საბავშვო პოლიკლინიკაა;

მუშაობს 700-ზე მეტი სპეციალიზებული საბავშვო და საყმაწვილო სპორტული სკოლა.

# მტრედის გამოუგზავნელი ბარათები ანუ მუხლზე დაწერილი მოთხრობები




ოთია იოსელიანი

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე


## ხინჯის თაობაზე

ერთ პატარა სოფელში შევლასლასდი, ფეხებზე წისქვილის ქვები მკიდია მგონია და ზურგზე, მტრედების გალიის მაგიერ, თვითონ წისქვილი.

აგერ ტანმორჩილა, ასე თქვენი თანატოლი ბიჭი მოდის, ორივე ხელით ჩაფრენია ერთ ფარატინა ქაღალდს და ისე გაფაციცებული ჩასჩერებია, ისე მოწყურებული კითხულობს, გეგონება, ყოველ სიტყვას გულის ფიცარზე იწერსო. არც წინ იხედება, არც გვერდზე. მიყვარს, როცა ვინმე კითხულობს, წერს ან ხატავს, თუ უმიზეზოდ არ მღერის, სიმღერაც მიყვარს, მაგრამ გზაში წინ უნდა გაიხედო. არადა, მე რატომ გადავდგე გზიდან, უფროსი და ქანცგაწყვეტილი კაცი. მივდივარ, მოდის და ზედ გულისპირზე არ შემომასკდა!

ამხედ-დამხედა, ვერ მიცნო, თან ვერც გამორკვეულა.

— რაა, ბალღო, რომ თვალში არ იხედები! ისედაც ჩემი გაჭირვება არ მეყოფა, რომ შენ კიდევ ფეხებში მედები! — გავუწყერი.

ბოდიში და ბოდიში, ბიძიაო, ისე შეწუხდა, ისე დაღონდა, თვითონ შემრცხვა, ამისთანა კეთილსინდისიერ ბავშვს რავა გავუჯავრდი-მეთქი.

— მამაჩემის წერილი მივიღე, ბიძია, სიხარულით ქვეყანა დამავიწყდა. მერე, მამა ისეთი ჭკვიანია, მისი ყოველი სიტყვა დასამახსოვრებელია... ამიტომ დამემართა, მაპატიეთ.

თუ ჭკვიანია, სად დაბრძანდება და საიდან გიგზავნის წერილებს-მეთქი?

— ჩვენში სამუშაო ჭირს, ბიძია, მამა სხვა ქვეყანაშია და რამდენი მოვენატრები, წერილებს მიგზავნის.

სხვისი წერილის წაკითხვაზე უზრდელობა და უწესობა ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ შევატყვე, ბიჭს ისე ემაყებოდა და ისე უნდოდა მეც გამეგო, რა ბრძენი მშობელი ჰყავდა, მოკრძალებულად შემომთავაზა, წაგიკითხავთო.

ერთი კი გავიქნიე თავი, მაგრამ მერე ვიფიქრე, დავჯდები, დავისვენებ და არც ამ კარგ ბიჭს ვაწყენინებ-მეთქი.

— მაინც, რას გწერს? ჭკუით იყავი, დედას გაუგონე, კარგად ისწავლეო?..

— არა, ბიძია, ხომ გითხარით, მამაჩემი ჭკვიანია, იმას როგორ მომწერს, რაც მე და მთელმა ქვეყანამ იცის.

— ახლა კი არ გეწყინოს და, — მოვუბოდიშე ბიჭს, — რას გწერს მამაშენი ისეთს, რაც არაფერ კაცს არ გაუგონია და არ იცის?

— იციან, ალბათ სხვებმაც იციან, მაგრამ უმნიშვნელო ჰგონიათ.

— ნეტავი მაცოდინა, მაინც რაა ასეთი?

— ხინჯი, ბიძია.

— ხინჯი რაა? რისი ხინჯი?

— აი, გულში რომ ხინჯი ჩაგრჩება, პატარა, უმნიშვნელო...

— თუ უკაცრავად არ ვიყო, რაკი შენი სურვილიცაა, წამიკითხე ბარემ მაგ ბარათი.

„ჩემო შვილო! — თითქმის ზეპირად, სხაპასხუპით დაიწყო ბიჭმა, — ამ წერილის წაკითხვისას, ვიცი, ჩაგეღიმება (ასეთ დროს შენს ღიმილს ექნება კეთილი ირონია და ბავშვური უბოროტო ცინიზმი), მამაჩემს რა მოუვიდა, ეს გულის ხინჯი რამ მოაგონა, განა სხვა სათქმელი და სალაპარაკო დაელიაო? იმოდენა ფათერაკებითაა სავსე ცხოვრება, ადამიანს ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმოდენა უბედურება შეიძლება შეემთხვეს, იქნებ პატარა ხინჯი ყურადღების ღირსიც არ იყოს, ან სხვას რომ წაუკითხო, მოგერიდოს და გასამხელადაც არ ჩათვალო. მე რომ მკითხოს კაცმა, ადამიანი ისე უნდა ცხოვრობდეს, იმას უნდა ფიქრობდეს, აკეთებდეს და წერდეს, რაც სხვებისთვის დასამალი და სხვის თვალში საჩოთირო არაა, რაკი ტყე ყურიანია და მინდორი თვალიანი, ხალხს ცუდი დღეს რომ დაუმალო, ხვალ მაინც ეცოდინება, ავი გულში რომ ჩაიდო და იფიქრო, გუნებაში რა მიდევს, ვინ რა იცისო, ავ ფიქრს ავი საქმე მოყვება, და საქმე ავი კი არა, კარგი არ იმალება.

ამიტომ, შენ თუ აქედანვე ირწმუნებ, რომ რასაც ფიქრობ, გააკეთებ, დაწერ თუ დახატავ, დასამალავი და დასაკარგავი არ იქნება, დღისით გარჯას მიეჩვევი და ღამით მშვიდ ძილს“...

ბიჭმა თვალში შემომხედა, როგორ მოგწონთო.

მე თავი დავუქნიე, განაგრძე-მეთქი.

„ქვეყანა ცუდიცაა და კარგიც, გააჩნია, რა თვალით უყურებ და რას აკეთებ მისთვის. შენ ამას წინ აკვარელით თუნგი დაგეხატა და გამომიგზავნე, აი ის, ჩვენ რომ მანდ, სახლში, შავი, ძველი თუნგი გვიდგას (არ იყო ურიგო ნახატი), და ამაზე გამახსენდა. ჰოდა, ეგ თუნგი თუ მასე ეგდება აივნის სოხანეზე, ლაფაროში, ან ისეთ ადგილას, ვინმე რომ წამოედება და ფეხს წამოჰკრავს, ან საქონელი რომ ტალახში და ნაკელში აგორავებს, რა თქმა უნდა, მუდამ შავი, მურიანი, ტალახიანი და ჰუჭყიანი იქნება. მაგრამ თუ სილით და აგურით გახეხავ, ძველი სპილენძი სულ ოქროსფრად აბწკრიალდება, და თუ დაკალავ, ახალივით გახდება ვერცხლისფერი.

ასეა ცხოვრებაც...

თუ არ გჯერა, აიღე მაგ თუნგი, წაიღე მდინარეზე, ან მდინარეზეც არ გინდა — შორსაა, სადღაც სოფლის გა-

---

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 2, 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათავარში. მაქვე, გუბურასთან მიიტანე, მანამდე კი სიმინდის ხუთიოდე ტარო გაფშვენი, მარცვალი კალათში ჩაყარე, დილით ქათმების დასაპურებლად დაგჭირდება, ნაქურჩალი კი წაიღე, ხეხე და ხეხე. ისე არ ქნა, ერთი ხელის დადება რომ გაპრიალდება, თქვა, მართლა ოქროსფერი ყოფილაო, და თავი დაანებო. ერთი ხელის დადება რაა, შენ მაშინ ნახე, როცა მთლიანად ალაპლაპდება. ის კი არა და, ფსკერიც უნდა გაუხეხო. მართალია, ფსკერი თითქოს არ ჩანს და იქნებ დაგეზაროს, რასაც თვალი ხედავს, ხომ გავაჩახჩახეო, მაგრამ, რომ გეცოდინება, ფსკერი ისევ ისე მურიანია, შენი სიამოვნება სრულფასოვანი არ იქნება. სხვას შეიძლება კი ეგონოს, ამ ბიჭუნას რა უქნია, ეს ძველი, გადაგდებული ჭურჭელი გაუახლებიაო, მაგრამ შენ ხომ იცი, საქმე ბოლომდე არ მიგიყვანია და გულში ხინჯად დაგრჩება.

სწორედ ხინჯის თაობაზე მინდოდა მომეწერა. თუ საქმეს ხელს მოკიდებ, როგორმე ბოლომდე მიიყვანე, თორემ უკმარობის ხინჯს დაგიტოვებს.

ხინჯი გულში არ შეუშვა, და თუ მაინც შეგეპაროს, რას იზამ, ზოგჯერ ასეც ხდება, არაფრით არ შეეგუო, არ დაისვენო, ძილი გაიტეხო ჯობია, მაგრამ გასაკეთებელი გააკეთე და ხინჯი მაშინვე გარეთ გამოდევნე, თორემ თავიდან ერთი ნამცეცია და თითქოს მისი ტარება არც ისე ჭირს, მაგრამ თუ მაშინვე არ მოიცილე, თანდათან მაგნიტივით იზიდავს ნამცეცებს, ისინიც ეკვრიან, ემატებიან და ბოლოს, შეიძლება, შურდულის კენჭისოდენა გახდეს. შენ თუ გგონია, ამაზე გაჩერდება და მალე მუჭისტოლა რიყის ქვად არ იქცევა!..

შენი გული ჯერ ლობემძვრალა ჩიტის ტოლაა და რიყის ქვას რა ათრევინებს. მერე, კაცი რომ გახდები, მაგ ქვამ ლოდადაც იცის გადაქცევა, მაგრამ მაშინ ეგ თვითონვე გეცოდინება და ჩემი თქმა აღარ დაგჭირდება.

მე კი ახლავე უნდა გაგაფრთხილო, გაგაფრთხილო კი არა, უნდა ვიყვირო და ვითავცემო, რომ როგორმე სულ პატარა ნამცეცი ხინჯიც გულში არ შეგეპაროს".

რაღაც მენიშნა ამ წერილში სათქვენოდაც. ბიჭის ნებართვით გადმოვიწერე, „ვაბამთ ფრთამალ მტრედს მე და უხინჯო ბიჭი ამ ბარათს და ვუშვებთ.

## უსტუმართმოყვარეო ქვეყნის ამბავი

რაღაც დაუსრულებელ აღმართზე ავდივარ, ძლივს ავიტანე სული. ერთიანად გადატრუსულია თვალსაწიერი. ალაგ-ალაგ ამ ეწერ მაღლობზე დაკოსებულია უკვე გამხმარი ბალახი. არც ბუჩქია, არც ჩირგვი.

ამ ზეგანს შუაწელზე ნაცრისფერი ქამარივით აქვს გადაჭერილი ხნული. გახნულია ვიწრო ზოლად ამ თავიდან იმ თავამდე.

არსად კალიებისა და ჭრიჭინების მეტი ფრინველიც რომ არ ჩანდა, ამ ზოლს იქით უძრავად დაყუდებული კაცი დავინახე. მომეჩვენა, მეგონა.

ალბათ დამინახა, უცხოდ შემიცნო და დამელოდა, თორემ აქ ადამიანს რა გააჩერებს-მეთქი. გამიხარდა, რომ სადღაც მეტისმეტად სტუმართმოყვარე ქვეყანაში მოვხვდი და პირდაპირ მივაშურე.

სანამ აქეთა მინდორზე ვიყავი, არაფერი, დაბელილ ხმელ ხესავით იდგა. როგორც კი ფეხი ნახნავს დავადგი, ელვისებურად ჩამოიღო მხარზე გადებული ბერდანკა, თვალის დახამხამებაში ფეხზე შეაყენა და პირდაპირ კაკალ გულში დამიმიზნა.

— იქით მიაბრუნე მაგ ოხრად დასარჩენი, არ გაგივარდეს! — მივაძახე და გულზე ხელები ავიფარე.

არც სალამი, არც ქალამი, პირდაპირ მიჯღავის:

— არ გაინძრე!

— არ გავინძრე რა, ამ ხნულში დარგული კი არა ვარ.

— გაინძრევი და გესვრი!

— ხომ არ შეიშალე! გულში მიმიზნებ და მესვრი?!

— არა, გიხათრებ!

— შენ თუ იცი, რომ კაცს გული ერთადერთი აქვს?

— არ ვიცი.

— „ალბათ ამ ქვეყანაში ადამიანს იმდენი გული აქვს, დათვლას ვერ ახერხებენ-მეთქი", — გამიკვირდა.

— შენ, გეტყობა, მარტო გული ხარ, მაგრამ ჩემი გასაჭირიც ხომ უნდა გაიგო?

— არაფერს არ გავიგებ, მეფის მზეს ვფიცავ, გესვრი და გაგათავებ!

— კარგი მახარობელი ხარ, რით დაგაჯილდოვო, ან რა პატივი გცე?

— არ მინდა მე შენი პატივისცემა, ჯილდოს მეფე მომცემს.

— რაში?! კაცს ტყვია ესროლო, ისიც გულში და ამაში ჯილდოს გაძლევს?! ამისთანა მეფის მზეს ფიცულობ და მის კანონებს ერთგულობ? მეფე რა საქონელიც გყოლიათ, გასაგებია, მაგრამ შენ თვითონ ვინა ხარ?

— მე არ მეკითხებიან, ვინა ვარ, პირიქით, შენ უნდა გკითხო, რა ვაჟბატონიც ბრძანდები!

— ვერ მხედავ, ვინცა ვარ?!

— ვერა!

— მაგ თოფს კარგა ზუსტად მიმიზნებ და თვალში თუ ვერ იხედები, რაფერ ახერხებ?

— ძალიან კარგად ვიხედები მე!

— თუ თვალში იხედები და ყურში გესმის, მოგზაურიც გეცოდინება.

— არ ვიცი.

— აფსუს, მაგელანებო, კოლუმბებო, სმიტებო, პრჟევალსკებო, სულხან-საბა ორბელიანებო!..

— მაგენი უკვე გადმოვიდნენ ჩვენს საზღვარზე თუ?

— დიდი ხანია გადმოვიდნენ, მთელი ქვეყნები მოიარეს და შინაც მშვიდობით დაბრუნდნენ.

— ასე როგორ შემოგვეპარენ და გაგვეპარენ. მეფემ რომ გაიგოს, სახრჩობელაზე დამკიდებს, — შეწუხდა საწყალი, მკვდრის ფერი დაედო.

— გეოგრაფია ან ისტორია თუ გაგიგონია?

— არა, კაცო, მაგისთვის მცალია?!

— ეუჰ, იმდენი გეოგრაფის, ისტორიკოსის, მოგზაურის და მოაზროვნის შრომა რავა ჩაიყარა წყალში?! — ისე მეწყინა, ტყვია მართლა რომ მოერტყა, წვეთი სისხლი არ გამომდინდებოდა.

— რა ძალიან გეწყინა, ვინმე შენი ახლობლები იყვნენ?

— კი, აბა რა, ჩემი, შენი, შენი რეგვენი მეფის და, რაც ქვეყანაზე ადამიანია, ყველასი.

— მაგენი ღმერთები ყოფილან და ისაა! — რაღაცას მიხვდა უბედური.

— ღმერთი და ხატი გაგიწყრათ შენ და შენს მეფეს, თუ ორი ანბანი წაგეკითხათ და ამ ქვეყანაზე რაიმე გაგეგოთ. — მეგონა რაღაცა შევასმინე და წინ ნაბიჯი გადავდგი.

— ფეხი, ფეხი არ გაანძრიო, თორემ გაგათავე!



— შე ბნელეთის მოციქულო, შენს თავში არაფერი არ შედის, რომ გელაპარაკები? მოგზაური ვარ, შე გა-მოყრუებულო, რომ გეუბნები, გაიგე!

— მაგი არ ვიცი, რას ნიშნავს, მაგრამ ჯერ მითხარი, რა მოგაქვს და აქედან რა უნდა წაიღო.

— რა უნდა მომქონდეს! — ორივე ხელით ნაბდის კალთები გავშალე და ავაფრიალე. მერე მტრედებიანი გალია დავანახვე. — ესაა, რაც მაბადია და აქედანაც ეს უნდა წავიღო. რაც მოვიტანე, იმას წავიღებ.

— ესე იგი არაფერი არ მოგაქვს? — მთლად ბრინჯი-ვით დაიბნა ის შავ დღეზე გაჩენილი.

— არა.

— არც არაფერს წაიღებ?!

— არა!

— ხე, ხე! — ცხენივით კბილები გადმოყარა, — მა-გას ვინ ჭამს?

— რავა წაღებ-წამოღებაზე და ჭამაზე გაქვს დაცქვე-ტილი ყურები, შე უდღეურო, მეტი არაფერი იცი?

— ვიცი, როგორ არ ვიცი, ხე, ხე, ხე! — ამჯერად ნი-შნისგებით გადმოყარა წეკოთი გაყვითლებული ხრო-ნჩები.

— აბა, ჰე, თუ კიდევ რაიმე იცი? — წავაქეზე.

— შენ ჯაშუში იქნები.

— ჯაშუშიც ხარ და ავაზაკიც, შე გათახსირებულო და წყალწაღებულო! და მარტო შენ კი არა, შენი თავცა-რიელი მეფეც შენზე უარესია. როგორიც ერიო, ისეთი ბერიო.

— ხე, ხე! აბა შენ თვითონ იტყვი თუ?

— რას ვიტყვი, რა უნდა ვთქვა!

— ჯაშუში რომ ხარ.

— მათხოვე ერთი მაგ თოფი და მე შენ გაგაგებინებ, ვინაა ჯაშუში და ქვემძრომი, შე თავჩალიანის მონავ, შე გონებაჩლუნგის ნაშიერო! — წამოვუსვი ჩემი რკინის ჯოხს ხელი და გავიწიე.

— ფეხი, ფეხი არ გაანძრიო, თორემ გავირტყი ორ-დენი!

—ჰაიტ, თქვე კაცის მკვლელებო! ჰაიტ, თქვე კაცის ხო-რცის მჭამელებო! რა მინდა თქვენს ქვეყანაში, რად მინ-და თქვენი ამბავი, ვის ვუთხრა, ვის ვუამბო. ჩვენი ბავ-შვების სმენას რავა მოვწამლავ და რავა გავაგონებ, ქვე-ყნად ამისთანა ბარბაროსებიც არიან, მართალი კაცის კვლაში ორდენს იძლევიან-მეთქი! — უკან-უკან დავიწიე. პირდაპირ რკინის ქალამნებშიც ფეხისგულები დამწვა იმ მიწამ, რაზეც ვიდექი.

— უკანაც რომ დაიხიო, მაინც გესვრი! — ისევ კაკალ გულში დამიმიზნა.

— რატომ, შე ავაზაკის ავაზაკო!

— იმიტომ, რომ საზღვარი დაარღვიე!

— რა საზღვარი დავარღვიე, ნახნავს რომ ფეხი და-ვადგი?

— მაგი ნახნავი და საყანე კი არა, საზღვარია.

— საყანე და საბოსტნე რომ იყოს, არ გირჩევნია, შე ცალტვინა? მთელი დღე რომ ჯირკივით დაყუდებულ-ხარ და ბერდენკა ჩაგიბღუჯავს, თოხი და ბარი გეჭიროს, კიტრი, პამიდორი და ნესვი დაგეთესა, პირამოხახული რომ ზეზეურად ხმები, შენც სულს მოითქვამდი და მეც, ჩემს სამშობლოს ათასი კილომეტრით მოშორებული, პირს გავისველებდი.

— ვერ დაეტიე იმ შენს სამშობლოში?! მე დაგიძახე თუ!?

ელაპარაკე ამ რეგვენს შენ!

— თქვენ რომ ხალხი იყოთ და პატრონი გივარგოდეთ, კი უნდა დაგეძახათ ჩემთვისა და მთელი ქვეყნისათვისაც, კარებიც ფართოდ უნდა გაგეღოთ, მაგ თოფის მაგიერ ყვავილები უნდა გჭეროდა ხელში, მაგრამ შენ და შენს მეფეს ამის ჭკუა ვინ მოგცათ.

— ჩვენს მეფეს აგინებ?! ახლავე გაგათავებ!

— არა, აქეთ და ადიდეთ მაგ კაცის მკვლელი... უბრალოდ კაცის მკვლელი კიდევ არაფერი — სტუმრის მკვლელი. და უკარით ტაში. ახლა აგერ არ გავინძრევი, ისე დავწერ ბარათს, შევაბამ მტრედს, გავუშვებ და მერე მესროლე. მესროლე და გაიგოს ქვეყანამ, რომ თქვენ მოგზაურს ჯაშუშს ეძახით და სტუმარს ტყვიით უმასპინძლდებით.

— არა, ჯაშუში რომ ხარ, არ უნდა ამას ლაპარაკი, აბა ასე ათასი კილომეტრი ფეხით გაიარო, არაფერი მოიტანო და არაფერი წაიღო?!

— ესე იგი ჯაშუში ვარ და შენ არ გიმხელ, ჰა?

— რა თქმა უნდა, არც მე და არც არავის.

— გამოდის, რომ დავღოღავ მშიერ-მწყურვალი, ცის ქვეშ ვათევ, ყინვასა და სიცხეს ვიტან და რისთვისაც ამდენ გასაჭირს ვუძლებ, არ ვამხელ?.

— რომ გაამხილო, იცი, რაც გელის.

— შენ რომ ტვინის ნასახი გაგაჩნდეს, თვითონ მიხვდებოდი, მე რომ გელაპარაკო, რას გაგაგებინებ!

— მითხარი, რაა აქ გაუგებარი და არ გესვრი.

— ცივი ტყვიით რომ გაქვს მაგ თავი გაძეძგილი, გაანძრიე და მიხვდები.

— რას მივხვდე, რომ არ ვიცი... — ისე დაიჭყანა ის ყეყეჩი, შეგებრალებოდათ.

— რას და ადამიანი საქმით ფასდება.

— ვერ გავიგე...

— ვინ რისი გამკეთებელია — კაციც ისეთია.

— მაგალითად?

— მაგალითად, შე ყეყეჩო, მაგ თოფის მაგივრად რომ თოხი გეჭიროს და აქ ყანა და ვენახი ბიბინებდეს, შენ იქნებოდი კარგი მშრომელი კაცი. ან შეიძლება მესაზღვრეც იყო, სტუმარს ქვეყნის კარებს რომ ულებდე და მასპინძლობდე... შენ და შენს მეფეს მტრედებიანი კაცის რატომ გეშინიათ, თუ თქვენ კარგი ხალხი ხართ?

— იქნებ მაგ მტრედები სულაც არაა და ბომბებია.

— მტრედს და ბომბს რომ ერთმანეთიდან ვერ არჩევთ, ჭკუა გაქვთ თქვენ?

— ან იქნებ შენ იარაღი გაქვს გადაყლაპული...

— რა გასაჭირიც მადგას, არ მეყოფა, კიდევ იარაღი გადავყლაპო?! გადამრევს ეს ვინცხა ოხერია, მერე და რისთვის?!

— ჯაშუში თუ ხარ...

— რატომ ვიქნები ჯაშუში! ხომ გითხარი, კაცი საქმით ფასდება, თუ შენ ვერ გითხარი, ვერც სხვაგან ვიტყვი, რომ ქვემძრომი და გაიძვერა ვარ.

— ვერ იტყვი.

— ჩემს ხალხს და ჩემიანებს მით უმეტეს ვერ ვეტყვი.

— თავი მოგეჭრება.

— მაშინ შენისთანა სულელი უნდა ვიყო, მთელი ცხოვრება ვაკეთო ის, რაც არ გაიმხილება, ან თუ ვინმემ მაინც გაიგო, თავი მომეჭრება. რატომ ვიწვალო ამ თავმოსაჭრელი საქმისთვის და შევწირო სიცოცხლე? არ მირჩევნია ვიყო ის, რაც შენ გითხარი და სხვასაც ვუთხრა? ჩემიანებს ხომ მთლად გავახარებ, რომ მოვიარე ქვეყნები, გავიგე სხვადასხვა ხალხების ზნე-ჩვეულება, ადათი და წესი, კულტურა და ხელოვნება. ერთის კარგი მეორეს გავაგებინე, ცუდი დავგმე, საქები ვაქე, ხალხი ხალხს გავაცანი, დავამეგობრე, შევაყვარე...

— ისე, მართალია, კაცმა რომ თქვას... — გამაწყვეტინა ბნელეთის მოციქულმა და საათზე დაიხედა. — სადაა ახალი ცვლა მოვა, აქ რომ დაგინახოს, გამცემს. წადი და მაგ შენი ნაკვალევი მოშალე.

რა ჯანი მქონდა, ვიხევდი უკან, ყოველ ნაბიჯზე ჩავიყუნტებოდი, ვაფხვიერებდი მიწას და ნაფეხურებს ვშლიდი.

ვაბამ მტრედს ამ ბარათს და ვწუხვარ, რომ ამის მეტი იმ ბნელეთის ქვეყნისა არაფერი გამიგია. ისე, დარწმუნებული ვარ, იმ ხალხსაც ბევრი რამ ექნება ჩვენთვის უჩვეულო, მისაბაძი და სასარგებლო.

## უმსაჯო ფეხბურთის ამბავი

ამ ბიჭის თაობაზე არაფრის მოწერას არ ვაპირებდი, თვითონ რომ არ გადამკიდებოდა: ჩემი თავი თქვენებურ ბავშვებს გააცანიო.

ვინა ხარ შენ ასეთი გადასარევი ვინმე, რომ ჩვენს ბავშვებს მოეწონო-მეთქი?

— თქვენი ბავშვები რა არიან ასეთი გადასარევი, რომ მხოლოდ გადასარევი ვინმეები მოსწონთო? — აქეთ მომიბრუნდა კითხვით ისე, რომ თვალი არ დაუხამხამებია. უტიფარი ბიჭი მეჩვენა და არც კი მინდოდა საუბარი გამეგრძელებინა, მაგრამ ვინ მომეშვა.

— თქვენებურ ბავშვებს მხოლოდ კარგი ვინმეები მოსწონთ?

— რა თქმა უნდა, კარგი ჩვენებურსაც მოსწონს და სხვებსაც.

— და ყველანი გადასარევი კარგები არიან?

— არიან... როგორ გითხრა... კარგი ბავშვებია... კი, კი!

— არ იგინებიან?

— რა თქვი?!

— გინება არ იციან?

— აჰ, როგორ გეკადრება! — შევიცხადე.

— მე ვიგინები... — თავი სინანულით გადააქნია და პირდაპირ ფილაქანზე დაჯდა. — უბედური გინება ვიცი. ვაპურჭყებ, ვაფურთხებ, პაპიროსის მოწევა მინდა ვისწავლო და არაფერი გამომდის, მაბრუებს და მახველებს.

— რა დროს შენი პაპიროსია!

— მაწყენს არა?

— რა თქმა უნდა!

— რომ გავიზრდები და მერე მოვწევ, მომიხდება?

— არა... მოხდენით არც მერე მოგიხდება, მაგრამ... — დამაბნია ამ მამაძაღლმა.

— მაგრამ მერე ვერავინ გამიჯავრდება, რაკი უფროსი თვითონ ვიქნები. და გინებაც მერე შეიძლება ხომ?

— გინება რა უბედურებაა!.. უფროსმა სულ არ უნდა შეიგინოს...

— ასე მგონია მეც, — დამეთანხმა ბიჭი და გადააპურჭყა. — კი, პაპიროსის წევას უფროსებისაგან, დედმამისაგან სწავლობენ, მაგრამ ვერაფერი გამიგია, ეს თითის სიგრძე ბავშვები ასეთ ყურით გაუგონარ გინებას საიდან იგონებენ.

— დედ-მამა თუ გყავს შენ? — ვიფიქრე, ვინმე უპატრონო, ქუჩის ბიჭია-მეთქი.

— აი, ეგერ რომ მაღალი სახლის აივანზე ჭრელ ნოხს ფერთხავს, დედაჩემია. და რომ უთხრათ, ეს რა ბავშვი გყავთ, რას ჰგავს-თქო, გეტყვით: ასე გამირყვნეს და გამითახსირეს ცუდმა ბავშვებმაო. არადა, ჩემზე უკეთესი გინება ამ არემარეზე არავინ იცის.

— ახლა იცი, როცა გასწავლეს და გაგაფუჭეს.

— ვინ მასწავლიდა, როცა მე ყველაზე მეტი ვიცი.

— გამოდის, რომ შენ ასწავლე სხვებს!

— ეს უფრო სწორი იქნება, მაგრამ ვერ გავიგე, მე ვინ მასწავლა...

ამ დროს ამტვერებული ქუჩის თავში სტვენა მოისმა და ჩემმა მოსაუბრემ გზას გახედა. ვიღაც ტიტლიკანა ბიჭი ჩვენსკენ თავქუდმოგლეჯილი გამორბოდა.

— ვინაა? — ვკითხე მე.

— ერთი ჩვენი ძმაკაცია, „კრეტინი".

— კრეტინი რა უბედურებაა, სახელი არა აქვს?

— ვინ იცის მაგის სახელი, „კრეტინია" და მორჩა.

— მართლა კრეტინი ყოფილა, ქუჩაში რომ გისტვენს და სახელს არ გეძახის.

— სწორად იქცევა, — გამართლა ძმაკაცი. — მე „თახსირას" მეძახიან და ქუჩაში საქვეყნოდ ხომ არ იბღავლებს.

მინდოდა მეყვირა, „თახსირა" რა უბედურებაა-მეთქი, მაგრამ ამასობაში „კრეტინი" მოვარდა და ვიღამ მაცალა!

— თახსირ, სადა ხარ, მთელი უბანი მოვირბინე და ვერ გიპოვე...

— ნუ გაამლაშე, თქვი, რა მოხდა...

— „რქიანმა" გამომიშვა, ახლავე აქ მოეთრიოსო.

— ეს „რქიანი" ვიღაა?! — წამოვიყვირე სასოწარკვეთილმა.

— ერთი ჩვენი უბნელია, — მშვიდად მიპასუხა „თახსირამ". — ისე, კარგი ბიჭია.

— მერე კარგ ბიჭს „რქიანს" ეძახით?! — აღვშფოთდი.

— აბა, „კარგ ბიჭს" ან „ოქრო ბიჭს" ხომ არ დავუძახებთ...

— ადე, ადე! — გააწყვეტინა „კრეტინმა" და ძმაკაცს მუჯლუგუნი წაჰკრა, — რას ბაირამობ, წამოეთრიე!

— თქვი, რა მოხდა, შე კრეტინო! — მუშტი მოუქნია „თახსირამ".

— გაღმელი „დებილები" ჩამოვიდნენ და გინებით აგვიკლეს.

— ვინ არიან ეს მართლა დებილები, საგინებლად და სალანძღავად დადიან?! — როგორ გინდა ასეთი საუბარი გულგრილად მოისმინო.

— ჰო, გინებაში გვეჯიბრებიან. — ამიხსნა თახსირამ და წამოდგა, — მე ვასწავლი იმათ, გინება როგორი უნდა!

— მოიცათ, მეც მოვდივარ! — წამოვვარდი, ნაბადი და ჯოხი ცალ ხელში დავიჭირე, მტრედებიანი გალია — მეორეში და გამოვუდექი.

არც ყურადღებას მაქცევენ, არც ბარგის წაღებაში მშველიან.

— ჩვენებიდან ვინ არიან? — ეკითხება გზადაგზა თახსირა.

— ყველანი: „ხვადაგიც" იქაა, „რქიანიც", „ძაღლიც", „მამაძაღლიც" და აქეთ რომ გამოვრბოდი, დავინახე, „ლაჩარაც" გამოჩნდა.

— მოიცათ, მოიცათ! — აღარ ვაცალე მე,— ეს რა უბედურებაა! მოდით მომეხმარეთ! — ერთს გალია შევაჩეჩე ხელში, მეორეს — ნაბადი.

გულზე ვარდი არ გადაფენიათ, მაგრამ რა ექნათ.

— მე თქვენ ერთ რამეს გირჩევთ, — ორივეს მხარზე ხელები გადავხვიე.

— თუ რამე ისეთი გინება იცი, რაც ჯერ არავის გაგონია, გვასწავლე! — თვალები გაუბრწყინდათ.

— გინება რა ვიცი! — შევიცხადე მე უბედურმა. — სადა ვარ, რა ქვეყანაში მოვხვდი! არ გრცხვენიათ, თქვე უღმერთოებო?

— ვიგინებით, რა მოხდა! — გაუკვირდათ, აცრემლებული რომ დამინახეს, და დამაშოშმინეს: — გინებას ვინ მოუკლავს.

— ლანძღვა-გინებას კეტი რომ მირტყან, ის მირჩევნია. ნაცემ-ნაგვემი ბოლოს და ბოლოს მომირჩება, გინება კი სიცოცხლეს მომიწამლავს.

— აბა, „დებილებს" კეტი ვურტყათ, ამას გვირჩევ?! — გაუკვირდათ.

— არა, ბიჭებო! კეტი და ნაჯახი ურტყითო, ვინ თქვა?!

— მაშინ რა ვქნათ, რას იტყვი? — თვალდაუხამხამებლად შემომაჩერდა თახსირა.

— ათასი რამეა ისეთი... შეჯიბრება რამდენ რამეში შეიძლება... სპორტი! სპორტი არ იციან თქვენში, რაა?

— კრივზე ამბობ?

— თუნდაც კრივი იყოს.

— ერთმანეთს ცხვირპირი ამოვუნაყოთ, ცხვირიდახ ძმარი ვადინოთ და თვალებიდან ნაპერწკლები ვაყრევინოთ?

— კარგი, დავანებოთ თავი კრივს, — უცებ მივაფუჩეჩე, — სხვა რამეც შეიძლება ხოლმე. ბურთი... ფეხბურთი! — მომაგონდა და მოვითქვი სული.

— ფეხბურთი არ გვიყვარს — თავი გადააქნია „კრეტინმა".

— რატომ, შე კაი კაცო, ფეხბურთისთვის მთელი მსოფლიო გიჟდება და თქვენ რა ღმერთი გიწყრებათ.

— გვეშინია, ჭკუა ფეხებში არ წაგვივიდეს, — ეჭვიანად ჩაილაპარაკა და შორს გადააპურჭყა თახსირამ.

— ხალხო! ვინც იგინება, ილანძღება და იფურთხება, ვინც ერთმანეთს „თახსირას", „კრეტინს", „დებილს", „ძაღლს" და „მამაძაღლს" ეძახის, იმას ჭკუა ვინ მისცა ან სად უნდა წაუვიდეს?!

— მაინც არ გამოვა... — არ დამეთანხმა „კრეტინი".

— ფეხბურთი რომ ვითამაშოთ, მსაჯი ხომ გვინდა.

— მერე, შე ჭკუის კოლოფო, მსაჯი რა გაჭირდა, უმსაჯობის გულისთვის თათხავთ ერთმანეთს?

— გამოღმელი თუ იქნება, ჩვენ მოგვიდგება, — ამიხსნა „ჭკუის კოლოფმა", — წყალგაღმელი — იმათ და თამაში მაინც გინებით და ლანძღვით დამთავრდება, ამიტომ ბარემ თავიდანვე ლანძღვით ვიწყებთ და გინებით ვამთავრებთ.

— არა, ნუ იზამთ, მე წამოვალ და ვიმსაჯებ! ღმერთი, რჯული, არავის მივუდგები, საერთოდაც მიუდგომელი და მიუკერძოებელი კაცი ვარ. ჰა, რას იტყვი, ჭკუის კოლოფო?

„ჭკუის კოლოფი" გაჩუმდა.

მე ეს დუმილი თანხმობად ჩავთვალე და თახსირას მივუბრუნდი: — რავა შე კაი დედმამიშვილო, უარზე ხარ თუ?!.

— არა, მაგრამ..

— არ უნდა მაგას „მაგრამ" და მიეთ-მოეთი! მივდივართ და ვთამაშობთ ბურთს! ჰო, ერთ რამეზე ახლავე შევთანხმდეთ. რაკი ნამდვილი სახელის დაძახება არ გიყვართ, დღეის ამას იქით გერქვას „შე კაი დედმამიშვილო".



— „კრეტინას?“ — ყურები ცქვიტა შე კაი დედმამიშვილომ.

— ახლა არ ვეძახდი „ჭკუის კოლოფს“?

— მაშინ „რქიანსაც“ უნდა გამოვუცვალოთ...—წამოაყენა წინადადება ჭკუის კოლოფმა.

— რა თქმა უნდა!

— მაინც რა დავარქვათ? — იკითხა შე კაი დედმამიშვილომ და დაფიქრდა.

— შენ არ ამბობდი, კარგი ბიჭიაო? — გავახსენე მე.

— კი.

-- „ოქრო ბიჭი“ დავარქვათ.

— „ხვადაგს“?

— ხვადაგი რა უბედურებაა! თქვენც რომ გული არ დაგწყდეთ და მეც, მოდი, „ბოჩოლა“ დავარქვათ.

— „ძაღლს“ და „მამაძაღლს“ რა მოვუხერხოთ? — ჩაფიქრდა ჭკუის კოლოფი.

— „ძაღლს“... „მგელიკა“ დავუძახოთ, „მამაძაღლს“— „კეთილშობილი“, „ლაჩარას“ — „გულადა“.

— ეს ჩვენ, მაგრამ წყალგაღმელები ისევ „დებილებად“ დარჩნენ? — დიდსულოვნად დაეჭვდა შე კაი დედმამიშვილო.

— როგორ გეკადრებათ! იმათ... იმათ „ჭკუა სდით და გადასდით“ ან „ჭკუის მეტი რა აქვთ“...

თითქმის ორივე დამეთანხმა. მე შევშინდი, საქმე ისევ საყოყმანოდ არ გახდეს-მეთქი და ავჩქარდი:

— ჭკუის კოლოფო, აბა იჩქარე, დაწინაურდი და გაღმელებსაც და გამოღმელებსაც აცნობე ჩვენი გადაწყვეტილება.

— ახლავე! — იშვირა ფეხი ამ მართლა ჭკუის კოლოფმა, ჩემი ნაბადიც გაიტაცა და მოცოცხა.

მე და შე კაი დედმამიშვილომ, მდინარისპირა მინდორზე რომ ჩავედით, სარებიც კი გამოვძებნეთ და კარები გავმართეთ.

დავიწყეთ ფეხბურთი. რა ჯობდა იმათ მოსმენას:

— დაიწყე, შე კაი დედმამიშვილო!

— გადააწოდე, ზუსტად გადააწოდე, ჭკუის კოლოფო!

— მიდი, მიდი, ოქრო ბიჭო!

— მგელიკა, წინ, წინ გაიჭერი!

— ბოჩოლა, არ დაგჯაბნონ, ბოჩოლა!

— მიდი, გულადა, გაარღვიე!

— დაარტყი, შე კეთილშობილო და მამაგანათლებულო! კუთხეში, ცხრიანში დაარტყი, თორემ მოიგერიებენ, მაგათ ჭკუის მეტი რა აქვთ, სდით და გადმოსდით...

იმდენ ნამოგზაურებს და ნათრევს კიდევ ბავშვების დევნის და ძუნძულის თავი მქონდა? მაგრამ ჩემდა გასაკვირად, დაღლილობა არაფრად ჩამიგდია, ისე მასიამოვნა მათმა ზრდილობამ და „სუფთა“ თამაშმა. ბოლოს, რომ გამოვემშვიდობე, ისიც კი ვთქვი, თუ ასე წესიერად ითამაშებთ, უხეშობას არ ჩაიდენთ და ერთმანეთს არ დალეწავთ და აგინებთ, მსაჯიც არ დაგჭირდებათ-მეთქი.

ეროხმად იგრიალეს: ჩვენს სიცოცხლეში მსაჯს მოედანზე ფეხს არ დავადგმევინებთო.

ანგარიში? ანგარიში, კაცმა რომ თქვას, აღარც კი ვიცი. მოგეხსენებათ, ბურთი მრგვალია... მე, ვინც პატიოსნად და ოსტატურად თამაშობს, მოგებულადაც ის მიმაჩნია.

ვაგზავნი ამ ბარათს, რაკი ჩვენებურ ბავშვებს ფეხბურთი ძალიან უყვართ, ვინძლო უმსაჯო თამაშიც სცადონ. თუმცა ეს კალათბურთზეც და ფრენბურთზეც შეიძლება გამოიყენოთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# ბურჯი ქართველობისა

იმ ორგანიზაციათა შორის, რომლებსაც ამაგი გაუწევიათ ქართველი ხალხის ეროვნული შეგნების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში, ერთ-ერთი მეტად საპატიო ადგილი უკავია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის შექმნის 100 წელიც ახლა სრულდება.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების აზრი ქართველ მოღვაწეთა იმ ჯგუფს დაებადა, რომელსაც მეთაურობდნენ სახელოვანი ქართველი თერგდალეულები და მათი ბელადი ილია ჭავჭავაძე. ეს მოღვაწეები ფიქრობდნენ, რომ ქართველი ხალხის ეროვნული მოღონიერებისა და წინსვლისათვის საჭირო იყო არა მარტო მისი სოციალური განთავისუფლება, რასაც ჩვენში საფუძველი დაუდო ბატონყმობის გადავარდნამ 1864 წელს, არამედ საქართველოში განათლებისა და მწიგნობრობის დანერგვაც. ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ სათანადოდ მოევლებოდა ქართულ ენას, ცარიზმის პირობებში დევნილ, შევიწროებულ და აბუჩად აგდებულ ჩვენს დედაენას. ქართულ ენაზე ზრუნვა იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ საქართველოს ზოგიერთ მხარეში, მაგალითად, აჭარაში, სადაც ოსმალი დამპყრობლები სამ საუკუნეზე მეტ ხანს თარეშობდნენ, ქართული ენა და ეროვნული შეგნება დიდად იყო დაქვეითებული.

ჩვენი სახელოვანი წინაპრების — დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის და სხვათა დიდ საფიქრალად იქცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა. ამ იდეამ ხორცი შეისხა 1879 წლის მარტში, როცა დიმიტრი ყიფიანის, ბესარიონ ღოღობერიძის, ილია ჭავჭავაძის და სხვების მიერ შედგენილი საზოგადოების წესდება მთავრობის მიერ იქნა დამტკიცებული. პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი. შემდგომში, 1885-1907 წლებში, საზოგადოებას უცვლელად თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძე, ილიას სიკვდილის მერე კი — ჯერ გიორგი ყაზბეგი და შემდეგ სხვა სახელოვანი ქართველი მოღვაწეები. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თითქმის ნახევარი საუკუნე იარსება და დიდად შეუწყო ხელი საქართველოში სწავლა-განათლებისა და კულტურის განვითარებას. ამ ხნის მანძილზე იგი თანდათან იზრდებოდა და თავისი განყოფილებების მეშვეობით მთელ საქართველოში მოქმედებდა.

რევოლუციამდელ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა გართულებული იყო, ვინაიდან მაშინდელი ხელისუფალნი ქართულ ენასა და კულტურას დიდად არ დაგიდევდნენ და საზოგადოება მხოლოდ და მხოლოდ კერძო შემოწირულებების, საწევრო გადსახადებისა და თავისივე გამოცემული წიგნების გაყიდვით შეძენილი შემოსავლით არსებობდა.

საზოგადოების ნაყოფიერ მუშაობას აპირობებდა ის, რომ მის საქმიანობას იმთავითვე სწორი ეროვნული მიმართულება მისცეს ქართული ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლებმა: ილიამ, აკაკიმ, იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ცხვედაძემ, რაფიელ ერისთავმა, ანტონ ფურცელაძემ, ივანე მაჩაბელმა, პეტრე უმიკაშვილმა, იონა მეუნარგიამ, თედო ჟორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა, გიორგი ყაზბეგმა და სხვებმა.

მეფის მოხელეთა მხრივ შეზღუდვის მიუხედავად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეუდგა სკოლების გახსნას, რასაც წარმატებით გაართვა თავი. დაარსებული იქნა სკოლები თბილისში, ქუთაისსა და ძველ სენაკში (ეს უკანასკნელი ქუთაისის სკოლის ფილიალი იყო), კავკავში, ხელთუბანში, გომარეთში, თიანეთში, რეხში და სხვაგან. ამ სკოლებში საზოგადოების მესვეურები ენერგიულად ცდილობდნენ ქართული ენის დანერგვას, მაშინ, როცა მეფის ხელისუფალნი ქართულის შეზღუდვისათვის იბრძოდნენ. საზოგადოების წევრები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ქართული წეს-ჩვეულებები და ენა პირველ რიგში იქ აღორძინებულიყო, სადაც დროთა ვითარებაში დავიწყებას იყო მიცემული. ასე იყო, მაგალითად, აჭარაში; ანდა კავკავში, — აქაური ქართველებიც მოცილებული იყვნენ ქართულ გარემოს. 1907 წელს საზოგადოებამ განიზრახა გაეხსნა ქართული სკოლა ფერეიდანში, სადაც ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის დამდეგს ირანის მრისხანე შაჰმა — აბას პირველმა კახეთიდან აყრილი ქართველები გაასახლა. მათი შთამომავლობის ერთ ნაწილს მივიწყებული ჰქონდა ქართული ენა და მაჰმადიანობის წიაღში მოხვედრილს ეროვნული გრძნობაც მისუსტებოდა. საზოგადოებას სურდა ფერეიდნელი ქართველები ეროვნული გრძნობებისაკენ მოედრიკა და მათში ქართული ენა აეღორძინებინა. ფერეიდნის საშუალო სკოლის გასახსნელად საკმაო თანხა იქნა გამოყოფილი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო სკოლის გახსნა არ მოხერხდა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდ მუშაობას ეწეოდა სკოლების მოსამარაგებლად სასკოლო სახელმძღვანელოებით, დაფებით, ავეჯით... სცემდა სახელმძღვანელოებს მოსწავლე ახალგაზრდობისათვის და, აგრეთვე, სახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლხო სასარგებლო წიგნებს ფართო მასებში გასავრცელებლად. ამ გამოცემებით ეცნობოდა მაშინდელი ქართველობა გოეთეს, სერვანტესის, ვაჟა-ფშაველას, კრილოვისა და სხვა მწერალთა ნაწარმოებებს. ქართული წიგნები ეგზავნებოდა საზღვარგარეთ მყოფ ქართველობასაც. 1909 წელს საზოგადოებამ იაკობ გოგებაშვილის თხოვნით თურქეთში მცხოვრებ ქართველებს საჩუქრად გაუგზავნა დიდი რაოდენობით „დედაენის“ ცალები.

საზოგადოების სკოლების გახსნა და, ხელმოკლეობისა თუ სხვა სიძნელეების მიუხედავად, მათში ეროვნული საქმიანობის გაჩაღება დიდი მნიშვნელობის ეროვნული მოვლენა იყო.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თვალსაჩინო სამუშაო ჩაატარა ბიბლიოთეკების ქსელის შესაქმნელად, სადაც ქართველები გატაცებით ეუფლებოდნენ ცოდნას. მან თავიდანვე საფუძველი ჩაუყარა დიდ წიგნსაცავს და დროთა ვითარებაში აქ თავი მოუყარა არა მარტო ნაბეჭდ, არამედ ხელნაწერ წიგნებს, საბუთებს და ისტორიული მნიშვნელობის მქონე სხვა სახის წერილობით ძეგლებს. ამ გზით საზოგადოების წიგნსაცავში აღმოჩნდა და დაღუპვასა და განიავებას გადაურჩა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი წყარო. ეს მასალები საზოგადოებამ ნაწილობრივ კერძო პირებისაგან შეიძინა, მათი ერთი ნაწილი კი შემოწირულების სახით მიიღო. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის შვილის ნიკოლოზ დადიანის მდიდარი ბიბლიოთეკა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამვე ჩაუყარა საფუძველი სამუზეუმო ნივთების შეგროვებას, რის მეოხებითაც გადარჩა და შთამომავლობას შეენახა ძველებური ფულის თუ ძველი ხელოვნების მრავალი ნიმუში და სხვ.

თავისი არსებობის მანძილზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მგზნებარე პროპაგანდას უწევდა საქართველოს ისტორიას და ქართულ მწერლობას. ის არა მარტო სცემდა ქართულ წიგნებს და ხალხის სამსახურში აყენებდა მათ, არამედ ხშირად მართავდა სახალხო სანახაობებს, საღამოებს, სადაც ისმოდა ქართული სიტყვა და პოპულარიზაცია ეწეოდა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას. ამ საღამო-სანახაობათა შემოსავალი ისევ საზოგადოების საჭიროებებს ხმარდებოდა. ხშირად კი გამგეობა აღებული ფულის გარკვეულ ნაწილს შეძლებისდაგვარად უნაწილებდა ქართველ მწერლებს. რევოლუციამდელ საქართველოს დუხჭირ პირობებში არაერთ ხელმოკლე ქართველ მწერალს გაუტანია თავი საზოგადოების მოკრძალებული დასახმარით...

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიდ მზრუნველობას იჩენდა ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობისა თუ ღარიბი სტუდენტების მიმართ. ოღონდ მათ სწავლაში ხელი შეეწყობოდათ, სამშობლოს გამოდგომოდნენ და, საზოგადოება, რომელსაც ფულადი სახსრები თავზე არ გადასდიოდა, შეძლებისდაგვარად მათაც აწვდიდა საარსებო თანხას.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ განსაკუთრებით აქტიური როლი შეასრულა ქართველ მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავყოფისა თუ აღნიშვნის საქმეში — 1893 წელს განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაში, 1895 წელს კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავის გადახდაში, რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს აღნიშვნაში; დიდი მუშაობა გაშალა ილია ჭავჭავაძის სახელის უკვდავსაყოფად, მისი თხზულებების გამოცემისა და მემკვიდრეობის დასაცავად. საზოგადოებას თავისი ამოცანები შესრულებული ჰქონდა და მისი შემდგომი არსებობა უკვე მიზანშეუწონელი იყო, რის გამოც 1926-27 წლებში საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა.

შოთა ბადრიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

70



# მაყვალა მრევლიშვილი

გამოჩენილ ქართველ პოეტს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს მაყვალა მრევლიშვილს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

თავისი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის ღვაწლმოსილი მწერალი ქალი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

მაყვალა მრევლიშვილი ქართული საყმაწვილო ლიტერატურის მშვენება და სიამაყეა. პატარების სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნით ამეტყველებული, ადამიანური სიკეთის შუქით განათებული მთელი მისი შემოქმედება ძვირფასი და ახლობელია ყველა ქართველი მოზარდისათვის. პოეტის ბევრ ლექსს ენის ადგმიდანვე იზეპირებენ, იყვარებენ ცეროდენები.

მადლიერ ნორჩ მკითხველებთან ერთად მხურვალედ ვულოცავთ საყვარელ იუბილარს დაბადების სამოცდამეათე წლისთავს და სამშობლოს მაღალ ჯილდოს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, კვლავაც მრავალი პოეტური შედევრის შექმნას ჩვენი ბავშვებისათვის.

„პიონერის“ რედაქცია
და სარედაქციო კოლეგია




ეროვნული ბიბლიოთეკა

**დღეს ჩვენი სტუმრები არიან აფხაზეთის საგაზეთო მწერლები და პოეტები**

# აფსნი-წინაპართა მიწა

სულ რაღაც 8700 კვადრატული კილომეტრი მიწის ვიწრო ზოლია მთის მწვერვალებიდან ზღვის სანაპირომდე გაშლილი. სანაპიროზე მწვანედ ბიბინებს ციტრუსები. წელიწადის ყოველ დროს ჰყვავის მაგნოლია და ოლეანდრა, მზეზე ელავს პალმის და კამფორას ხის ფოთლები. მაღლა აზიდულა ლითონისა და მინისაგან ნაგები მაღალი, თანამედროვე საკურორტო კომპლექსები. აქვე ახლოს დოლმენები, ციხეთა ნანგრევები, მონასტრები, კლდეში ჩაზრდილი კოშკებია, სულ ზემოთ კი—მუდმივი თოვლი და ყინულოვანი მწვერვალები.

ხეობებში და ფერდობებზე თიხნარი მიწაა, ერთი შეხედვით უნაყოფო და მწირი. სწორედ ეს მიწა შობს უბრწყინვალეს თამბაქოს, შესანიშნავ ჩაის და ყოველგვარ ციტრუსოვანს.

იმისათვის, რომ იგრძნო, გაიგო ამა თუ იმ მიწის ღირსება, მისი სილამაზე, არ კმარა მისი დანახვა. **საჭიროა მის სულს შეახო ხელი, მისი ხალხის** გულის ნადები ამოიცნო. **მხოლოდ** მაშინ გადაგიშლის იგი გულს, გიჩვენებს თავის სილამაზეს.

ამ მიწის მკვიდრთა ხასიათის უპირველესი ნიშანია თავისი მიწის უბრალო სიყვარული კი არა, უდიდესი მოწიწება მის წინაშე, მოწიწება მისი უნარის მიმართ ჰბადებს უდიდეს სასწაულებს... ზემოთ ყინულმთებში რომ ილებენ სათავეს, ის მდინარეებიც ამ მიწაში იბადებიან, ეს მიწა შობს ყლორტებს, ჩაის, ციტრუსის ყვავილს. ბავშვის გაჩენას კი აქაური მკვიდრნი გასროლით, მშვიდობიანი გასროლით ამცნობენ მოყვასთ.

უხსოვარ დროში ამ შვილებს ამოსცდათ ყელში სახელწოდება „აფსნი".* ეს „სულთა საუფლოს" — ნიშნავს. სამშობლოს ამ ენაზე დაერქვა „აფსადგილი" — „სულთა მიწა", ხოლო ენას — „სულის სიმღერა".

ასე გაჩნდა აქ ყველაფრის სახელები, მათ შორის ყველაზე დიდებული მთის სახელწოდება — ერცახუ; თითოეულ მყინვარს, წყლით რომ ასაზრდოებს იას — თავისი სახელი ჰქვია; უთენია, კიდით-კიდემდე ნისლით ამოვსებულ ღრმა ხეობებსაც; გრძელ ჯაჭვად გაჭიმულ კუზიან ქედებსაც; მჩქეფარე მდინარეებს, ზღვისკენ რომ მიაგორებენ ტალღებს... ყველას საკუთარი სახელი აქვს.

მიწის ყოველ მტკაველში აქ ადამიანის სულია ჩამარხული, მისი ძარღვია ჩატანებული და ამიტომ ცოცხლობს ეს ხალხი. როცა მტერი დაადგამდა ხოლმე მშობლიურ მიწას ფეხს, მისი შვილების გული იმ წამსვე ტკივილით შეიკუმშებოდა. ხოლო როცა ძნელბედობა და გასა-

* აფსნი — აფხაზეთს ჰქვია (აფხაზურად).

ჭირი ლოდივით დააწვებოდა მის მკერდს, როცა კლდე-ღრეში იფარავდა დაჭრილს, სისხლისაგან დაცლილს, წამოიმართებოდნენ მისი შვილები და წამოიწყებდნენ „დაჭრილის სიმღერას“.

„მძიმე ჭრილობა მებრძოლის გამოცდააო“, — ასე ამბობდა სიმღერა.

საუკუნეობით კვნესოდა ეს მიწა, მომხდურთა ფეხით გათელილი. აქ ქვაც კი არ არის, ზედ ჭრილობა რომ არ აჩნდეს, სისხლით არ იყოს მოთხვრილი — მინდვრად აგდია ის თუ ზღვის ნაპირზე, ძველი სამარხები — დოლმენებია მისგან აგებული თუ ციხე-სიმაგრეშია ჩაკირული ან ყორეში დატანებული.

ქვები დუმან, მაგრამ ხალხის მეხსიერებაში ცოცხლობს აფსნის შვილების უკვდავი გმირობა, ასე შეურყვნელად რომ მოიტანეს დღემდე. ამ მიწაზე ჭეშმარიტად რომ წმინდაა ქვაც და ფერფლიც, ყოველი გორაკი, სადაც სამშობლოს დასაცავად აღმდგარნი არიან დაკრძალულნი.

ყველანი, ვინც ამ მთების მკვეთრ მოხაზულობას, ძველი მონასტრებისა და საბრძოლო კოშკების მკაცრ კონტურებს, ქალიშვილთა და ვაჟიშვილთა მომხიბლავ ღიმილს დაინახავს და ყურს მიუგდებს ცეკვების ცეცხლოვან რიტმს, იგრძნობს ხალხის მომხიბვლელობას. ხალხისას, შეუპოვარი ბრძოლით რომ მოიპოვა ცხოვრებისა და ბედნიერების უფლება.

ძნელია ზუსტად იმის თქმა, თუ რამდენი ხანი გრძელდებოდა აფხაზეთის ტრაგედია, მაგრამ იმის დადგენა კი იოლია, როდის აღდგა იგი ფენიქსებრ ფერფლიდან და ახალი ცხოვრებისათვის დაიბადა. დიახ, სწორედ მაშინ, 1921-ში, ახალი ისტორიის ანალებში ჩაიწერა ძველ მიწაზე ახალი საბჭოთა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაარსება, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა.



# პიონერების სიტყვა

## რაულ ლასურია

ჩვენო დედებო, იყავით მშვიდად,—
მამულს ჩვენითაც ესახელება,
დიდი ოქტომბრის ნათელი წმინდა
შემოგვხვევია ყელსახვევებად.

გავლენ დღეები, თვეები, წლები,
წამოვიზრდებით, დავფრთიანდებით,
დაუშრეტელი გზნებით და რწმენით
კვლავ ლენინის გზით გავემართებით.

მაღლა ვატარებთ კაშკაშა დროშას
მუხლჩაუხრელად, წელგამართულად.
წინ საოცნებო მწვერვალი მოჩანს—
ცათა წიაღში ზეაღმართულა.

ოქტომბრის ელვამ გააქრო ნისლი,
ოცნება მიტომ გვეადვილება.
თავისუფლების რაინდთა სისხლი
დღეს ჩვენს ძარღვებშიც მიედინება.

იცოდეს, დაე, ყველა გამრჯელმა, —
მიწას რომ რთავენ ფერად
ფარჩებით, —
მათებრ იშრომებს ჩვენი მარჯვენა
და ხალხის ვალში არც ჩვენ
დავრჩებით.

თავზე დაგვხარის მზედ მოვლენილი
ბელადის სახე უსაყვარლესი,
გულს გვიფოლადებს აზრი ლენინის
და გადაშლილი გვაქვს ასპარეზი.

ცხოვრებას ჯერ არ გამოვუცდივართ
და მაინც ვიცით ფასი ცხოვრების.
არა, არაფერს ვუმზერთ
გულცივად —
სიმართლისათვის შეუპოვრები.

რა დიადია სამშობლო მხარე!
მისი ალერსით ვთბებით,
ვიზრდებით,
ის არის ჩვენი მზეცა და მთვარეც,
ის არის ფრთები ჩვენი მიზნების.

იმედიანად მყოფადს ვუცქერით,
ზეცა საავდროდ არ გვეღრუბლება...
მოგვენიჭებია კონსტიტუციით
სწავლის უფლება, შრომის უფლება.

ჩვენო დედებო, იყავით მშვიდად,—
წამოვიზრდებით, დავვაჟკაცდებით,
ლენინურ გზიდან — ნათელი გზიდან
ჩვენ არასოდეს არ გადავცდებით.

თარგმნა ს. შამურიანმა

# წელს თავსაყრელი იქნება მზე

## გენადი ალამია

დასკდნენ კვირტები...
აღმოცენდა მწვანე ბალახი...
წელს თავსაყრელი ექნება ყველას,
მათ შორის — ბავშვებს,
ჩვენს ხალისს და ჩვენს იმედს —
ბავშვებს,
წელს თავსაყრელი ექნებათ ხილი,
ხილი და პური,
პური და თაფლი, —
წელს თავსაყრელი ექნებათ მზე და...
დალაღდებიან ბავშვები მზეში!..

აგერ, შეხედე, — მაღალი ხიდან
ლაყლაყა ვაშლი ჩამოვარდა
და ჩაიფუთნა მწვანე ბალახში...
მიაგნო მაინც ბუთხუზა ბიჭმა
და ნეტარებით ჩაკბიჩა ვაშლი...

უცებ იმ ბიჭმა თვალი შეასწრო:
ბუდიდან ბარტყი ჩამოვარდა, —
შეწუხდა ბიჭი,
აიყვანა და თოთო ბარტყი
კვლავ ტოტზე შესვა!..

ჩვენი ლამაზი დედამიწა
ცხოვრების ხეზე
იმ ვაშლივით და იმ ბარტყივით
ჰკიდია, ალბათ...

მაგრამ იმედი...
იმედია ყველაფრის დედა!..
წელს თავსაყრელი იქნება მზე და—
დალაღდებიან ბავშვები მზეში!..

თარგმნა ზივი ძნელაძემ



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზაფხული, მე, ნაალა და სხვანი

**ვ ა ლ ე ნ ტ ი ნ  დ ბ ა რ ი**

**მხატვარი ზაურ დეისაძე**

მოთხრობა

იმ დღეს თამბაქოს ვტეხდით, კალათები შემოგვაკლდა და მოსატანად გამაგზავნეს. მოულოდნელად შარაგზაზე ნაალას გადავეყარე. არ მესიამოვნა, „რა ეშმაკივით გამომიტყვრა...“ — გავიფიქრე და შევეცადე ავრიდებოდი. ნაალა ჩემი ტოლი იყო, ადრე ერთად ვსწავლობდით. პირველ მერხზე იჯდა, ჩემს წინ. როცა მელანი არა მქონდა, კალამს მის სამელნეში ვაწებდი, მაგრამ, გადავწვდებოდი თუ არა, მაშინვე ხელისგულს გადააფარებდა სამელნეს და ჩაწების საშუალებას არ მაძლევდა.

ერთხელაც ვერ მოვითმინე და პირდაპირ ხელში ვუჩხვლიტე კალმის წვერი. ნაალამ წამოიკივლა. ყველამ მოიხედა. მასწავლებელი გაჯავრებული წამოვიდა ჩვენსკენ, მაგრამ ვერ გამოარკვია, ვინ იყო დამნაშავე. ნაალა ჯიუტად დუმდა, მეც გამბედაობა აღარ მეყო, რომ დანაშაული მეღიარებინა. ამის შემდეგ ნაალა გადამემტერა და მწარე დაცინვებით მოსვენებას აღარ მაძლევდა. გასაღიზიანებლად „უშიშარა“ შემარქვა და ბოლოს ისე გაუვიდა თავს, რომ გვერდზე გავლისას ბანტიან ნაწნავს გამომწვევად გამიტყლაშუნებდა ხოლმე სახეში. უსიტყვოდ ვყლაპავდი წყენას. ვიცოდი, სული ელეოდა, როდის ამევსებოდა მოთმინების ფიალა და მეც ავყვებოდი, მაგრამ ჩემი მოთმინებიდან გამოყვანა არც ისე იოლი იყო.

მერე სასწავლებლად ინტერნატში გადავედი და ნაალას აღარც შევხვედრივარ. თუმცა თანასოფლელები ვიყავით, მაგრამ ერთმანეთისაგან მოშორებით ვცხოვრობდით. შორიდან თუ დამინახავს მისი სახლი.

და, აი, ეშმაკად აქ არ გადავეყარე?

— სალამი! — მითხრა და გზა გადამიჭრა.

„ნამდვილი ქალაბიჭაა“, — გავიფიქრე და უპასუხოდ გვერდის ავლა დავაპირე.

— სიმაღლე კი მოგმატებია, — დამიწყო გამოჯავრება, — მაგრამ ჭკუაზე ალბათ ისევ მწყრალად ხარ... სიბერეში თუ გეშველება რამე.

— შენი საქმე არ არის, — ჩავილაპარაკე და გზა ავუქციე, მაგრამ ისევ გადამეღობა. ბიჭივით იქცეოდა.

ვიგრძენი, როგორ წამომენთო სახე და გაბრაზებულმა თვალი გავუსწორე. შეცვლილიყო. გაოცებული მივაჩერდი, ტანი აეყარა, ვიწრო კაბა გახუნებოდა, თვითონაც გარუჯულიყო, ცისფერი თვალები არ შეცვლოდა, ოღონდ, უფრო მკვეთრად აჩენდა მზემოკიდებულ კანს. სიფრთხილე მმართებდა, თორემ შეიძლებოდა ამ ჭინკას ჩხუბშიც გავეწვიე.

— გაზრდით შენც გაზრდილხარ, მაგრამ დალაგებით კი არაფერი გეტყობა, რომ დალაგებულიყო.

— აჰ, ლაპარაკი არ დაგვიწყნია? — მხიარულად გადაიკისკისა ნაალამ, — მადლობა ღმერთს!

— შენზე უკეთესი ლაპარაკი ყოველთვის ვიცოდი...

— როგორ არა! მახსოვს, თავს რომ იმტვრევდი ლექსების დაზუთხვაზე.

— შენ კი არც ზეპირობა გშველოდა...

— შენ ისიც კი არ იცი, გოგოს როგორ უნდა ელაპარაკო, ალხაზ... — ხმაში წყენა გაერია ნაალას, — და თუ სიმართლე გინდა, დიდი უცხვირპირო, თავკერძა და უკარება ვინმე ხარ, სამეგობროდაც ვერ მოგიდგება კაცი...

ახლა კი მართლა მეწყინა და სწრაფად გავერიდე. ზურგსუკან მისი სიცილი დამედევნა.

„ნაალა[1] კი არა, ერთი ახტაჯანაა“, — ვფიქრობდი გაჯავრებული.

შებინდებისას თამბაქო ფარდულში ჩავაბარეთ და მდინარეზე წავედით საბანაოდ. გულიანად ვიჭყუმპალავე და შინისაკენ გამოვწიე. მაგრამ როგორც კი შარაგზაზე ამოვედი, ნაალა ისევ წინ ამეტუზა. სიბრაზემ ამიტანა.

„რას გადამეკიდა“, — გავიფიქრე, — რომ იცინის კიდეც. — არა, რაღაც უნდა მოვუხერხო, თორემ სხვანაირად თავს არ დამანებებს...

— შენ რა, მეტი საქმე აღარაფერი გაქვს? — ვკითხე, რაც შეიძლება მკაცრად.

— უკაცრავად, მაგრამ თქვენი ნებართვით მე აქვე ვცხოვრობ...

ხმა ველარ ამოვიღე. მივდივარ და ისიც მომყვება.

---

[1] ნაალა — უწყინარი, უშფოთველი (აფხაზურად).

— ინტერნატი კარგია? — მეკითხება სერიოზული სახით. — ეჰ! ნეტავი მეც იქ ვსწავლობდე!

— ჩვენთან მხოლოდ ობლებს იღებენ, შენ კი... კარგი კია, მაგრამ მამა რომ ცოცხალი მყოლოდა, არ წავიდოდი.

წყნარად მისმენდა.

„იქნებ მორჯულდეს-მეთქი“, — გამიხარდა გულში.

მაგრამ მალე ისევ თავისებურად დაიწყო. ხელში მწვდა და მეუბნება:

— იცი რა? მოდი, აი, ამ ღობეზე გადავძვრეთ, რომ იცოდე, რა საზამთროებია!

— გამაგებინე, გოგო ხარ თუ ბიჭი? — ხელი უკანვე გამოვგლიჯე. — სწორედაც შენთვის ექნებათ დათესილი საზამთრო!

— შენ არ იცი, მაგის პატრონები ისეთი ქვაწვიები არიან, მთელ საზამთროს ისე შეთქვლეფენ, ზედ არავის დაახედებენ, — წამჩურჩულა და თვალები ეშმაკურად გაუბრწყინდა, — ეეჰ, თუმცა შენ რას გელაპარაკები, რომელი გამბედავი შენა მყევხარ.

— შენ არც დაგესიზმრება, რა გამბედავიცა ვარ, — წამოვენთე მე, მაგრამ...

— ეს „მაგრამ“ გიშლის ხელს, არა? — კვლავ დამცინავად გადაიკისკისა ნაალამ, — ნეტა ვინ ოხერმა მოიგონა ეს წყეული „მაგრამ“.

ეს კი მეტისმეტი იყო. ამან ისე დამაკარგვინა მოთმინება, რომ ვერც კი გავიგე, როგორ გადავევლე ღობეს.

— ახლა რაღას იტყვი? ხომ ხარ კმაყოფილი, აბა, კიდევ იტყვი რამეს? — ვუყვიროდი ღობის შიგნიდან.

— სუუ, ჩუმად, ჩუმად! — შეშფოთებული ნაალა ღობეზე მოძვრებოდა, — ავი ძაღლები ჰყავთ...

მერე ჩაიჩოქა, თვალის დახამხამებაში შეარჩია ყველაზე მწიფე საზამთრო და მოგლიჯა.

— ეე, შენ, გეტყობა, ქურდობაში კარგად გაწაფულხარ, — ვუთხარი და უკან გამოვბრუნდი, — მეც სულელი ვარ, რომ აგყევი...

ამის თქმა და ძაღლის აყეფება ერთი იყო. ბაღჩის სიღრმიდან ქოფაკი გამოვარდა. შიშისაგან ამბურძგლა, ისედაც მეშინია ძაღლებისა, მაგრამ თავზარი უფრო იმის გაფიქრებამ დამცა, ქურდობაში რომ მომატანეს.

„თავს უნდა ვუშველო-მეთქი“, — გავიფიქრე, მაგრამ უარესი სირცხვილი და თავის მოჭრა იქნებოდა, გოგოსათვის რომ თავი მიმენებებინა, ველარც გადავურჩებოდი მის დაცინვას.

— გავიქცეთ! — სახელოზე მოვქაჩე ნაალას. გოგოს ხელიდან საზამთრო გაუვარდა. საზამთრო ზრიალით გასკდა.

— აფსუს, რა მწიფე ყოფილა! — დაენანა ნაალას. მაგრამ ამის დრო აღარ იყო. ის იყო, ფაცხა-ფუცხით გამოვასწარით, რომ ძაღლიც გაშმაგებული ყეფით მოაწყდა მესერს, მაგრამ შემდეგ რაღაც უცნაურად იქცეოდა, ყეფა შეწყვიტა და კუდის ქიცინი დაგვიწყო.

— ეი, ვინ არის მანდ? — მოისმა ზემოდან. ბაღჩის ბოლოში კაცი იდგა. მაშინ კი რაც ძალი და ღონე მქონდა, უკანმოუხედავად მოვკურცხლე, ნაალა ერთ ხანს მომყვა, მაგრამ მერე ველარ შესძლო.

— აკი ვამბობდი, ვაჟკაცობით დიდად ვერ დაიტრაბახებ-მეთქი. — მეუბნებოდა აქოშინებული ნაალა, — ვიცოდი, რაც იყავი...

„მოიცა, სხვა დროს გიჩვენებ, რა ვაჟკაციცა ვარ, — ვექადნებოდი გულში და თან გავრბოდი — იქნებ ჩემი თვალით დანახვაც კი აღარ გინდოდეს, ჯერ დამაცადე...“

შინ ქაქანით მივედი. დაღლილობისაგან სულს ძლივს ვითქვამდი. რომ დავფიქრდი, თანდათან სიბრაზე მომერია ამ მეტიჩარა და დიდგულა გოგოზე. მთელი ღამე გეგმას ვაწყობდი, როგორ მეძია შური. მართლაც ლაჩრულად გამოვიქეცი, ჩემი თავისა მრცხვენოდა. რაღაც უნდა მომეფიქრებინა ისეთი, რომ ამხანაგებთან თავის გასამართლებელი მქონოდა, თორემ ნაალა ალბათ [illegible] ქვეყანას მოჰფენს ჩემი სიმხდალის ამბავს.

დილით ზედ ჭიშკართან ჩვენი სოფლის მილიციონერი დამიხვდა. შიშით მუხლები ამიცახცახდა. მორჩა, დავიღუპე, გუშინდელი ამბავი გაუგიათ-მეთქი, — გავიფიქრე და ცოცხალ-მკვდარი გავემართე მისკენ. ნეტავი დედაჩემს არ გააგებინონ-მეთქი, — ვინატრე გულში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიბარებსო, — მოკლედ მომახსენა მილიციონერმა.

„რაკი სასოფლო საბჭოში მიბარებენ, მაშასადამე, მთელ სოფელს გაუგია, — გავიფიქრე სასოწარკვეთილმა, — რა თვალით შევხედო ამხანაგებს? ანდა რა ვუთხრა დედას“?

— აღმრიცხველი გაგვიხდა ავად, საძოვრებიდან პირდაპირ საავადმყოფოში წავიყვანეთ, — მეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე. — სამწუხაროდ, ამჟამად ყველა საქმითაა დაკავებული, შენ ხომ ვერ შეძლებდი დროებით შეგვეცვალა? მთაში ხომ ყოფილხარ? გზა იცი? ანგარიშიც გცოდნია, რძე, ყველი...

გულზე მომეშვა.

— სიამოვნებით-მეთქი, — დავეთანხმე გახარებული. რაკი ჩემი შიში ამაო გამოდგა.

მთაში მართლაც არ ვიყავი ხამად. მამაჩემი ფერმაში მუშაობდა და პატარაობიდანვე მიმიდევნებდა ხოლმე საძოვრებზე. მაშინ შტატიანი აღმრიცხველი არ ჰყავდათ და მე ვეხმარებოდი მამას ანგარიშის წარმოებაში.

თავმჯდომარესთან საუბარი დედას გადავეცი. დედაჩემი ჯერ დადარდიანდა (მარტო არდადეგებზე მხედავდა ხოლმე და არ ვეთმობოდი), მაგრამ შემდეგ დაფიქრდა და გაუხარდა კიდეც:

— კარგი, შვილო, წადი, მთის ჰაერს ჩაყლაპავ, ჯანღონე მოგემატება, — დაასკვნა ბოლოს.

●

კოლმეურნეობის კანტორაში დილაუთენია მივედი. გავვოცდი, როცა ჩემი თანამგზავრები ნაალა და მამამისი აღმოჩნდნენ. მაშინღა მომაგონდა, რომ ნაალას მამა ფერმის გამგე იყო. მოულოდნელმა სიხარულმა შემიპყრო, — რაც არ უნდა იყოს, ორი თვე მთაში მარტო უფროსებთან ყოფნა მართლაც მოსაწყენია, თამაშითაც ვერავისთან ითამაშებ. უფროსები ერთი წუთით მოგაქცევენ ყურადღებას და მერე მთელი დღე თავ-თავისი საქმეებით არიან გართული.

მაგრამ ნაალა როგორღაც მოწყენილი ჩანდა, სიტყვაც კი არ უთქვამს, გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. ეს რაღაც უჩვეულოდ მომეჩვენა.

— აბა, გავწიოთ! — შეგვეხმიანა მამამისი და ჩემი შულდაკი ბარდანებით დასაპალნებული ცხენის ზურგზე შეისროლა.

საღამოს რიწის ტბის სიახლოვეს დავბანაკდით. უფრო ზევითაც შეგვეძლო ასვლა, მაგრამ ცხენი მფრთხალი გამოდგა, მანქანებმა შეაშინეს და გზაში შევფერხდით. მანქანები კი დაუსრულებელ ნაკადად მოედინებოდნენ. აღმა-დაღმა მიჰქროდნენ დამსვენებლებით სავსე ლამაზი „იკაროსები“, „სოჭი“, „ადლერი“, „გაგრა“, „ბიჭვინთა“, „სოხუმი“ — ეწერა მანქანებს. ყველა მზეთუნახავი რიწის სანახავად მოიჩქაროდა.

იმ ღამეს ბინა ვეებერთელა სოჭის ქვეშ დავიდეთ. ვივახშმეთ და დასაძინებლად მოვეწყეთ. დაღლილებს მაშინვე ჩაგვეძინა. რიჟრაჟზე გამომეღვიძა. ნაალას ისევ ეძინა, საბნიდან მარტო თავი მოუჩანდა. მამამისი უკვე

ამდგარიყო. გზას გავხედე, კარგა მანძილი გამოგვევლო, ჩვენს უკან, ხეობაში, ხშირი ნისლი შეყრილიყო.

— გაიღვიძე? ყოჩაღ! — შემეხმიანა ნაალას მამა, რომელსაც კარდალით წყალი ამოჰქონდა. ახოვანი და მაგარი აგებულების კაცია ბახტი. თავიდანვე როგორღაც მიმიზიდა. ახლაც მისმა კეთილმა გამოხედვამ გული გამითბო და კარგ გუნებაზე დამაყენა.

ბინაზე რომ მივედით, სხვებსაც მალე შევეჩვიე. ჩემი ძირითადი საზრუნავი მარტო წიგნში რძის რაოდენობის შეტანა იყო, მაგრამ ვცდილობდი სხვებისთვისაც წამეშველებინა ხელი. მთაში ყველამ იცის თავისი საქმე, მაგრამ მარტო ამით არავინ იზღუდება. ამიტომაც მიყვარს მთა.

ნაალას ვეღარ ვცნობდი, მთლად გამოიცვალა. პირველად მეგონა ეშინია-მეთქი, ისე გაოცებული შეჰყურებდა ზეაღმართულ კლდეებს. შემდეგ მივხვდი, რომ ეს გაოცება ბუნების სილამაზით იყო გამოწვეული და გოგონასადმი პატივისცემით გავიმსჭვალე.

ერთხელ, თავისუფალ დროს, ჩანჩქერთან ჩავედით. ნაალა მაღალ ქვაზე შემოსკუპდა, ფეხებს იქნევდა და ხმაამოუღებლად შესცქეროდა წყალვარდნილს.

— ალხაზ! — მითხრა ბოლოს, — ბრაზობ ჩემზე?

— კარგი ექიმი ცდილობს გაუგოს ავადმყოფს, — გავიმეორე სადღაც ყურმოკრული ფრთიანი ნათქვამი.

— სხვის ნათქვამს რატომ იმეორებ? — აშკარად შეეტყო წყენა, თითქოს რაღაც შეუფერებელი მეთქვას. — საკუთარი თქვი...

— არ მეგონა, თუ გეწყინებოდა, — ვუთხარი. — აკი შენც გიყვარს ოკრობოკრო ნათქვამები.

— მართლა! — უცებ გამოცოცხლდა ნაალა. — გახსოვს, საზამთროებზე რომ გადავძვერით, იცი, ის ბოსტანი ვისი იყო? ჩვენი, — და გულიანად გადაიკისკისა.

შევცბი. მერე მეც სიცილი ამიტყდა. დიდხანს ვხარხარებდით.

— შენი სიმამაცის გამოცდა არც მიფიქრია. ისე, მეც არ ვიცი, რამ წამომიარა...

კარგა ხანს მდუმარედ შევცქეროდით ჩანჩქერს.

— თქვენთან, ინტერნატში, გოგოები და ბიჭები სულ ხართ მეგობრულად? — მეკითხება ნაალა.

— მაშ როგორ! — თავი მოვიწონე მე.

— ჩვენთან კი ისევ ძველებურად, — თქვა ნაღვლიანად, — თხა და მგლებივითა ვართ, მასწავლებლებს თითქოს სულაც არ ედარდებათ ეს ამბავი. ეს ისე მტკენს გულს! და რაღაც უნდობლობას მაჩვევს...

მე გაკვირვებული ვუსმენდი, მაგრამ ვდუმდი. არ ვიცოდი, რა მეთქვა.

ერთხელ ჩვენთან კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამოვიდა. თავიდანვე კარგ თვალზე ვერ შევხედე. ქვეშ-ქვეშა და გველაძუა კაცი ჩანდა. შეხედავდი და ხასიათი მიფუჭდებოდა.

ამოვიდა თუ არა, არც კი შეუსვენია, მაშინვე სადილი მოგვთხოვა. უსახური და მჭლე კაცი იყო, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთ ჯერზე მთელი სამკილოიანი მაწვნის ქილა გამოგვიცარიელა.

მეორე დღეს კი სამწყემსურში გაჰყვა ერთ მწყემსს. ნაალა და მამამისი ფიჩხის შესაგროვებლად წავიდნენ. ასე მოგროვილს შემდეგ ვირით ვეზიდებოდით ზევით. ბინაზე მე და მორიგე მზარეული დავრჩით. მე ვეხმარებოდი, რძე ავადუღე, ყველი ამოვიყვანე. შებინდებისას მზარეულმა რატომღაც რამდენჯერმე გამაგზავნა ერთი ხბოს დასახედად. ეს ხბო ნახირს არ ეკარებოდა და ბინის სიახლოვეს უყვარდა ყოფნა. უმეტესად კი ბილიკთან ბალახობდა. ამ ბილიკით წყალი ამოგვქონდა ხოლმე. ხბო ხელზე გვყავდა შეჩვეული და არავის არ უფრთხოდა.

მზარეულმა საქმე მოათავა, დასასვენებლად წამოწვა და მიიძინა, მე გარეთ ლოდზე ჩამოვჯექი და ნაალას დავუწყე ლოდინი. უცებ საიდანღაც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე წამომადგა თავზე. ერთი ქვეშ-ქვეშ გამომიბღვირა და მითხრა:

— წყალზე გაიქეცი და კარდალები გაავსე, ბოჩოლა გადაიჩეხა, ყელის გამოჭრა ძლივს მოვასწარით, კვდებოდა. უნდა მოვხარშოთ, რას უდგეხარ, იქნებ ხორცი არ გინდა? — უშნოდ გაიღრიჯა და თამბაქოსაგან ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა.

ბინაში შევბრუნდი, მზარეული გავაღვიძე და ახალი ამბავი ვაცნობე.

— დაუკლავთ, — ხელი ჩაიქნია მზარეულმა, — წინას-



## ბიჭი და ჩიტუნები

**ნ. კეიცინია**





ბიჭი უხმობს შაშვს, —  
ნახშირივით შავს:  
— მოდი ჩემთან, შაშვო,  
არ მოგაკლებ სარჩოს...  
— ვერ მოგართვი! — თქვა შაშვმა და...  
ტყეში გადაჭახჭახდა!

ბიჭი უხმობს სკვინჩას, —  
ტოტზე რომ ზის ყინჩად:  
— მოდი ჩემთან, სკვინჩუნავ,  
დაგაპურებ მდიდრულად!..  
— ვერ მოგართვი! — თქვა სკვინჩამ  
და...  
ტყეში გადასკვინჩილდა!..



ბიჭი უხმობს მერცხალს, —  
რომ აჰკვრია ზეცას:  
— მოდი ჩემთან, მერცხალო, —  
ჩემთვის უნდა გეცალოს!..  
— ვიცი, ვიცი, — თქვა მერცხალმა, —  
რაც აქედან გამოვა:  
რა მადლი აქვს,  
რა ეშხი აქვს  
გალიაში გალობას! —  
თქვა ესა და ანაზდად  
ცაში შეინავარდა!..

. . . . .

ბიჭი ახლა ზის და  
ეფერება ცინდალს.

თარგმნა გივი ძნელაძემ

წარვე ვიცოდი, იმიტომ გთხოვდი, მიხედე-მეთქი. ყოველ ამოსვლაზე ერთი და იგივე ისტორია მეორდება...

— სხვა დროსაც ასე იყო? მაშ ალბათ ძია ბახტიც ურევია ამ საქმეში! — ტირილი მომებჯინა ყელში.

— შარშან ბახტი არ ყოფილა...

— შენ?

— მე არ ვერევი. პატარა კაცი ვარ. ეგეც არ იყოს, რაც ჩემი თვალით არ მინახავს, ჩემი ყურით არ გამიგონია, ხომ ვერ დავუმტკიცებ. შეკრულები არიან და მორჩა, წადი და იდავე!

— კარგი, მაშინ შენ ისე მოიქეცი, ვითომ არაფერი იცოდე, — მივაძახე მზარეულს და ბახტისთან გავიქეცი.

— რა მოუვიდა? — მოჩვენებითი გულგრილობით შეეკითხა ბახტი მწყემსს, რომელიც დაკლულ ხბოს უტრიალებდა.

— ნახირი რომ მთიდან დაეშვა, — დაიწყო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ, — აი, იქ, კლდის ძირას ქვა დაუცდა ფეხქვეშ...

— ტყუის, ხბო იქ არც ყოფილა, — უცებ წამოვიძახე მე, — მთელი დღე აქვე ძოვდა, მანამდე ნახევარი საათით ადრეც კი გავხედე...

— რაო, რაო? — ჩემსკენ გამოიწია სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ, — ვის უბედავ, შე ლაწირაკო?!.

მაგრამ ბახტი გადაელობა და მსუბუქად უბიძგა:

— გეყოფა! შარშანაც ასე იყო. მართალს ამბობს ბიჭი!

— ეგრე იყო, ეგრე... — ძლივს ამოღერღა მზარეულმაც.

— ჰმ! პირი გაქვთ შეკრული, — უტიფრად მოგვახალა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ, — მაგრამ ვერც დამიმტკიცებთ და არც არავინ დაგიჯერებთ ამას...

— მე დაგიმტკიცებ და დამიჯერებენ კიდეც!. — მოულოდნელად გასისხლიანებული ხელებით წინ წამოიწია მწყემსმა, რომელიც ხბოს ატყავებდა, — ამოვიდა ყელში, ერთხელ ხომ მაინც უნდა თქვას კაცმა სიმართლე...

ზაფხული მიიწურა, ვიდრე საქონელი ბარად დაბრუნდებოდა, ძია ბახტიმ მე და ნაალა სასკოლოდ ჩამოგვიყვანა სოფელში. ინტერნატში წასასვლელად რომ ვემზადებოდი, გასაცილებლად ნაალაც მოვიდა. მზემოკიდებულს ახალი, ლამაზი კაბა ძალიან უხდებოდა.

— სიმამაცე მართლაც ალამაზებს ადამიანს, — მითხრა და ცისფერი თვალებით გამიღიმა, — ჩანჩქერთან განგებ გითხარი, ჩემზე ნაწყენი რომ არ დარჩენილიყავი. მომხდარმა ამბავმა კი ნამდვილად დაგვამეგობრა...

— ნამდვილად, — გამეღიმა მე.

— ჰო, დაგვამეგობრა და ამ მეგობრობის სახსოვრად აი, ეს გქონდეს, — მითხრა და ახალთახალი, ლამაზი კალამი გამომიწოდა.

— დიდი მადლობა, მაგრამ...

— აი, ნახე, ისევ ეს „მაგრამ“ გაეჩხირა...

და ორივემ გულიანად გადავიხარხარეთ...

თარგმნა მ. ხერგიანმა



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

# მინდა ჩემზე ასე იქვინ

ჩემი ბავშვობა დიდი სამამულო ომის დროს დაემთხვა. მამაჩემი ვლადიმერ დიმიტრის ძე გულია, აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას შვილი, ფრონტზე წავიდა და აღარ დაბრუნებულა.

მაშინ დედასთან და ბებიასთან ერთად თბილისში ვცხოვრობდი, ერთ ძველ სახლში, სადაც უამრავი მეზობელი მყავდა.

სკოლაში ძალიან გამიტაცა ქიმიამ. შინ, სამზარეულოში ლაბორატორია გავმართე. მეზობლებს ღამით ხშირად ვაღვიძებდი აფეთქებებითა და მრავალფეროვანი ალით, მაგრამ თითქმის არასოდეს არ წამჩხუბებიან. მოსწონდათ, რომ უსაქმოდ არ დავეხეტებოდი ქუჩაში და, მათი აზრით, „მეცნიერებას“ ვიყავი დაწაფებული.

სკოლა რომ დავამთავრე, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევედი. ინსტიტუტი ძალიან მომეწონა, კარგად ვსწავლობდი, არ მახსოვს, ერთი ოთხიანი მაინც მიმეღოს.

მესამე კურსზე ვიყავი, როცა საგზაო მანქანების ლექციაზე ერთი ისეთი ამბავი მოხდა, მთელ ჩემს ცხოვრებას რომ დაასვა დაღი. ლექცია სკრეპერზე გვქონდა. ეს მანქანა ციცხვით ჩიჩქნის მიწას და იმავე ციცხვით შორს მიაქვს გადასაყრელად, ხანდახან რამდენიმე კილომეტრზე. ძლიერი მანქანაა, მაგრამ სათხრელად მაინც არ ყოფნის ძალა და ტრაქტორი (ხან ორიც კი) ეხმარება ხოლმე.

ამ დროს მანქანის ძრავა თითქმის სულ არ არის დატვირთული. ჰოდა, გამიჩნდა აზრი, ხომ არ მოხერხდება ამ მანქანაზე მძიმე მქნევარა ბორბლის გამოყენება-მეთქი. იგი მანქანის მოძრაობის დროს თანდათან დაიცარებოდა. მერე კი ინერციით გათხრიდა მიწას — შესცვლიდა ტრაქტორს.

მაშინ დავწერე პირველი განცხადება გამოგონებაზე. მალე გამოგონებათა სახელმწიფო კომიტეტიდან პასუხი მოვიდა. პასუხი უარყოფითი იყო. საშინლად გავნაწყენდი, ბილეთის ფული მოვაგროვე და მოსკოვს გავემართე.

იქ გამიმართლა. შევხვდი ორ შესანიშნავ ახალგაზრდა მეცნიერს, რომლებმაც ამ გასაჭირის დროს მხარი დამიჭირეს და ყველაფერი გააკეთეს, რათა ჩემი იდეა რეალობად — მანქანად გადაექციათ. დღეს ორივე გამოჩენილი მეცნიერია. მინდა, რომ შენ იცოდე მათი სახელები — პროფესორი დიმიტრი ფედოროვი და იგორ ნედორეზოვი.

ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში მომაწყვეს და საქმეს მივყავი ხელი. გამოცდების ჩასაბარებლად

---

## კვახი გასკდა, ხმა გავარდა!..

**პლატონ ბებია**

ერთ ღობეზე ერთი კვახი
ვებერთელა გაიზარდა...
ჰოდა, ძირს რომ ჩამოვარდა —
კვახი გასკდა, ხმა გავარდა!..

ხმაზე მწყემსმა გაიღვიძა,
თოფის სროლით შეძრა ზეცა;
გაიფიქრა, უთენია
ფარას მგელი ხომ არ ეცა.

თოფის ხმაზე ფარა დაფრთხა,
აქეთ-იქით დაიფანტა...
სროლის ექო მაღალ მთებში
ჭექა-ქუხილს მიაგავდა.

ხმამ სოფლამდე მიაღწია:
თუმც მიზეზი არ იციან —
დიდები და პატარები
გარბიან და გამორბიან.

ბოსლის კარებს ამტვრევს ხარი,
სიბნელეში ძროხა ბღავის,
ერთად ყეფდეს ყველა ძაღლი,
არ უნახავს ალბათ არვის.

განწირულად ჭყივის ღორი,
არც გოჭები ჩუმდებიან,
კვიცები კი უგზო-უკვლოდ
მინდვრად სირბილს უნდებიან.

ვიღაც ქალმა შეიკივლა,
აირია ეს სოფელი,
გაქცევაში ეჯიბრება
მეზობელსა მეზობელი.

მიატოვეს სახლი, კარი,
ყველაფერი აირია.
სირბილ-სირბილ მინდვრებამდე
გზა რა მალე გაილია.

ვიღაც ცხელი მუგუზალით
ტყისკენ გარბის ფერმიხდილი...
ვინ აჰყარა ეს სოფელი,
ვინ დაუფრთხო მშვიდი ძილი?

რა იცოდნენ, ყველაფერი
თუ უცნაურ ზღაპარს ჰგავდა:
არაფერიც არ მომხდარა, —
კვახი გასკდა, ხმა გავარდა!..

---

## ეს რა სასწაულია!..

**სარიონ ტარკილი**

ეს რა სასწაულია!
ნაღდი სასწაულია:
ვირი ცხენზე შემჯდარა
და გზაზე გაუვლია.

სასწაული თუ არა,
აბა მითხარ, რა ჰქვია:
საპარიკმახეროში
ფისუნები გარბიან.

სასწაული გრძელდება,
ვინა თქვა, რომ გათავდა?
შეხეთ, რა მონდომებით
მგელი ცეკვავს ბატკანთან.

შეხეთ და სასწაულის
მონაწილე იქნებით:
დათვებსა და ჩიტუნებს
უყიდიათ წიგნები.

ჰო, რა სასწაულია!
ვერთობით და ვღიღინებთ...
თქვენ კი ეს ყველაფერი
ნუთუ ვეღარ იხილეთ?!

თარგმნა ა. გურგენიძემ

თბილისში, ჩემს ინსტიტუტში ჩავდიოდი, ცხოვრებით კი მოსკოვში ვცხოვრობდი, სტიპენდიით ვსაზრდოობდი და ჩემს მანქანა-სკრეპერს ვაგებდი. საქმე კარგად მიდიოდა და მალე მანქანა მზად იყო. ეს ჩემი სადიპლომო პროექტი დავიცავი და ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია მივიღე. იმხანად ასპირანტურაშიც შევედი.

მეცნიერებაში არ არის იოლი გზა — ეს ჭეშმარიტება ჩემს თავზე გამოვცადე, მაგრამ ზოგჯერ გამარჯვებაც მოდიოდა ხოლმე. წარმატებით გამოიცადა ჩემი მანქანა, გარდა ამისა, უკვე მქონდა ოცამდე სამეცნიერო შრომა და გამოგონება.

საკანდიდატო დისერტაცია რომ დავიცავი, ჩემს მშობლიურ ქალაქს დავუბრუნდი და იქ განვაგრძე მქნევარაზე მუშაობა.

პირველი მქნევარა ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინ შეიქმნა მესოპოტამიაში. მაშინ იგი კერამიკის ოსტატებს ემსახურებოდა. მაგრამ ადამიანს დღესაც სჭირდება ის, უფრო სწორად, მომავალში დასჭირდება კიდევ უფრო მეტად. შენ იცი, რომ დედამიწაზე სათბობის მარაგი შეზღუდულია. ავტომობილის საწვავი კი აგერ, შენს თვალწინ თავდება. ქალაქის ჰაერი, განსაკუთრებით დიდი ქალაქებისა, სასუნთქავად აღარ ვარგა. მსოფლიოში მილიონობით ავტომანქანაა, სწორედ მათ დაწვეს თხევადი საწვავის თითქმის მთელი მარაგი და მოწამლეს ჰაერი.

სად არის გამოსავალი? უავტომანქანოდ ცხოვრებაც რომ აღარ შეიძლება? გამოსავალი ერთია — ენერგია სუფთა წყაროდან უნდა მივიღოთ—ეს არის მზე, მდინარეები, ქარი, მიწის შინაგანი სიმხურვალე—და ამ ენერგიით ვკვებოთ ავტომანქანები. მაგრამ როგორ გადავიტანოთ ეს ენერგია ავტომანქანაში? აი, ამ საქმეში მოგვეხმარება, სწორედ, მქნევარა. მქნევარა კარგა მაგრად რომ დავატრიალოთ, იმდენ ენერგიას დავაგროვებთ, ყველაზე დიდ აკუმულატორსაც კი რომ არ ზმანებია. შემდეგ მქნევარა თავის ბრუნვას ბორბლებს გადასცემს. ასე „გადასახლდება“ მზის, მდინარის, ქარის ენერგია ავტომანქანაში — ავტომანქანის მქნევარაში.

ოღონდ ეს მქნევარა უბრალო თუჯის ბორბალი არ გეგონოს. იგი, შენ წარმოიდგინე, უმტკიცესი ფოლადის, მინის, ნახშირისა და კვარცის ძაფით არის დამზადებული და მასზე მყარი ალბათ არაფერია დედამიწაზე. გაგიკვირდება, მქნევარა ბორბალი მინისა და ძაფისაგან რომ გააკეთებინათო. ასეა საჭირო. რაც უფრო მტკიცე და მაგარი იქნება მქნევარა, მით უფრო მეტ ენერგიას დააგროვებს იგი.

აი, ასეთი „ხვიური“ მქნევარები, ანუ, როგორც მათ ახლა უწოდებენ „სუპერმქნევარები“ გამოვიგონე. ვამზადებდი მათ, პრაქტიკულად ვცდიდი ასპირანტურის დამთავრების შემდეგ თბილისში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიაში.

იმ წელიწადს ტოლიატში დაიწყო საავტომობილო გიგანტის მშენებლობა. ქარხანას ინჟინრები სჭირდებოდა, წავედი და იმ ქალაქში დავიწყე მუშაობა —ვასწავლიდი ტოლიატის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამ პერიოდში კიდევ ერთ იდეაზე ვმუშაობდი, მინდოდა მქნევარა ავტომანქანებში გამომეყენებინა.

საქმე ისაა, რომ ავტომანქანა დამუხრუჭებისას დიდ ენერგიას ხარჯავს. ეს ენერგია საკმარისი იქნებოდა მანქანის ხელახლა სამოძრაოდ. ამ ენერგიის გადარჩენა სწორედ მქნევარას შეუძლია. სულ პატარა, სულ რამდენიმე კილოგრამიან მქნევარას შეუძლია დააგროვოს დამუხრუჭების დროს დაკარგული მთელი ენერგია და შემდეგ ეს ენერგია მანქანის ძრავის დასახმარებლად გამოიყენოს. საწვავის ეკონომიის გარდა, ეს იმითაც არის მომგებიანი, რომ ძრავა ისე აღარ გააჭუჭყიანებს ჰაერს.



ნ. გულია თავის შექმნილ მანქანასთან

აი, ამიტომაა, რომ 80-90-იანი წლების მანქანებისათვის დაგეგმილია არა ბენზინის ძრავების წარმოება, არამედ ელექტროძრავებისა, რომლებიც მქნევარებით იქნება აღჭურვილი. გაკეთდება აგრეთვე მქნევარიანი ავტობუსები ბავშვებისათვის. ასეთი ავტობუსი უკვე დემონსტრირებული იყო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და მედალიც დაიმსახურა.

თუ შენც გინდა ასეთი მიკრომობილის დამზადება, წაიკითხე ჟურნალ „მოდელისტ-კონსტრუქტორის“ 1977 წლის № 11. იქ ნახაზებიც არის და აღწერილობაც.

ახლა პროფესორი ვარ და მოსკოვში ვმუშაობ, ლექციებს ვუკითხავ სტუდენტ-მეავტომობილეებს. ჩვენი ინსტიტუტი ინჟინრებს ამზადებს ავტოქარხნებისათვის, პირველ რიგში ლიხაჩოვის სახელობის ქარხნისათვის.

ოცი წელიც არ გასულა, რაც ესოდენი წვალებით მივიღე პირველი საავტორო მოწმობა. ახლა ორმოცდაათამდე გამოგონება მაქვს. ასზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი ვარ. ყველა ჩემი ნამუშევარი ერთი საკითხისადმი — მქნევარასადმი არის მიძღვნილი.

კარგად მახსოვს ჩემი პაპის დიმიტრი გულიას სიტყვები, თავის 75-წლისთავის იუბილეზე თქმული: „თუ ყური მოჰკრათ, გულიამ შრომას თავი დაანებაო, იცოდეთ, მკვდარი ვყოფილვარ“.

მინდა, რომ ჩემს შესახებაც ასე თქვან მოხუცებულობის ჟამს...

ნურბეი გულია,

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# იყო და არა იყო რა

თანამედროვე ზღაპარი

ალექსი გოგუა

Iყო ერთი ბიჭი, სახელად ხიგუ ერქვა. თუმცა მთავარი სახელი კი არ არის, ამ ქვეყნად უთვალავ ბიჭს ჰქვია ხიგუ... ამ ბიჭს დედაც ჰყავდა, მამაც, უმცროსი დაც და ძმაც, სკოლაშიაც დადიოდა... მაგრამ მთავარი არც ეს არის, არამედ ის, რომ ბიჭს ავი ხასიათი ჰქონდა და სახელიც ავი შეარქვეს — ანჩხლა.

ბიჭის უმცროსი დაც და ძმაც მხიარული, კეთილი, ბატკანივით თვინიერი ბავშვები იყვნენ, უყვარდათ დედ-მამა, მეგობრები, თამაში, სიმღერა. ის კი არავინ იცოდა, ვინ უყვარდა და რა უყვარდა ხიგუს. დადიოდა დღემუდამ ქუში, უკმაყოფილო, რაღაცით განაწყენებული, თითქოს პირიდან საყვარელი კანფეტი გამოაცალესო, სულ ჭინჭყლობდა, ავობდა. შემთხვევით რომ მიჰკარებოდი, მუშტებით მოგვარდებოდა, დაგკბენდა და დაგკაწრავდა.

— გული ჩამწყვიტა ამ ბიჭმა, — ოხრავდა დედა.

— თავი მოგვჭრა და ესაა! — ამბობდა გაოგნებული მამა.

უმცროს დას და ძმას ეშინოდათ მისი და ერიდებოდნენ. ჩუმ-ჩუმად კი ანჩხლას ეძახდნენ და არა მარტო ანჩხლას, არამედ კატასა და ვირუკასაც, რადგან კატასავით იკაწრებოდა და ჩოკინასავით ისროდა ტლინკებს.

ერთხელ ხიგუს დაიკო იჯდა და თავის საყვარელ თოჯინას კაბას უკერავდა. კაბა კარგი გამოდიოდა და გოგონა მხიარულად ღიღინებდა. სწორედ ამ დროს თავზე ჩვეულებისამებრ მოღუშული ხიგუ წამოადგა.

— ნუ წრიპინებ! — დაუყვირა დას.

მაგრამ გოგონა სიმღერის გუნებაზე იყო და ღიღინი არ შეუწყვეტია. გაიღიმა კიდეც.

— ხმა გაკმინდე-მეთქი, გეუბნები!

მაგრამ გოგონას ამანაც ვერ გაუფუჭა გუნება და ღიღინი განაგრძო, ოღონდ უფრო ხმადაბლა.

— გესმის თუ არა?!

„გაბრაზებულია, მაგრამ ხელს მაინც არ მახლებს, — გაიფიქრა გოგონამ. — მე ხომ პატარა ვარ, შევებრალები“, — და კიდევ უფრო დაუწია ხმას.

მაშინ ხიგუმ ვეღარ მოითმინა, სწვდა თმაში და სახე ერთიანად ჩამოაკაწრა. და სწორედ ამ დროს საშინელი რამ დაემართა: აცახცახდა, აქეთ-იქით ეცა, საცოდავად დაიგრიხა, ეგონა, კანს მაძრობენ და სხვა კანს მაცმევენო. უცებ იგრძნო, რომ ცხვირს ქვემოთ მავთულივით ჩხვლეტია გრძელი თმები ამოუვიდა. პირი დააღო და დაყვირება დააპირა, მაგრამ განწირული კნავილიღა აღმოხდა. ხიგუ კატად გადაიქცა.

— ანჩხლა, ანჩხლა! — ტირილით ასწია თავი დამ და რას ხედავს — მის წინ ძმა კი არა, დიდი წითური კატა დგას, ზურგი აუზნექია, აჯაგრულა, თვალები უელავს, ჰა და ჰა, დაეტაკება. შეშინებულმა გოგონამ შეჰკივლა და კატა მოჩვენებასავით გაქრა. მას შემდეგ ორი დღე-ღამის განმავლობაში ხიგუ არავის უნახავს.

ეჰ, ძნელია კატური ცხოვრება!

მუდამ რამე საკბილოს საშოვნად უნდა იწანწალო. აბა სინჯე, იატაკს გაკრული საათობით გაუნძრევლად იწექი ერთი გალეული წრუწუნას მოლოდინში, ან თითის წვერებზე იძრომიალე ჩხვლეტია გვიმრებში, იქნებ ცივი და უგემური ხვლიკი დავიჭიროო! და თუ მაინც ხელი მოგეცარა, მაშინ როგორმე სამზარეულოში უნდა შეიპარო, რომ დიასახლისის მომზადებულ კერძს ამოჰკრა ენა. თუ გაგიმართლა, ხომ კარგი, მაგრამ თუ დანაშაულზე წაგასწრეს, მთელი დღე გვერდებდაყეყილმა და თვალებაჭრელებულმა უნდა ილასლასო.

ტყუილად ნურც მყუდრო ბინის იმედი გექნება: ყოველი ქეციანი ნაგაზი თავს მოვალედ თვლის, ფხაჭაფხუჭით დაგიფრინოს. გინდ ღობეზე აძვერი და გინდ ბეღლის სახურავზე — სულ ერთია, დადგება ქვემოთ, ასწევს თავს და აგიტეხს სულელურ ყეფას. ღმერთო, რა საძაგლები არიან... სახლის სახურავზე თუ ასწარი, მეტი რა გზა აქვთ, მოგემვებიან, მაგრამ მოსვენება მაინც არ გიწერია. სახურავი და სხვენი სავსეა შენნაირი მაწანწალა კატებით. ადგება და მოგადგება რომელიმე, თუნდაც სათამაშოდ, სამაიმუნოდ. იმას რა უჭირს, ახალგაზრდაა, შენ კი იმ ბიჭის ასაკში ხარ, რომელიც აგერ უკვე ერთი წელია, სკოლაში დადის. კატისათვის ეს დიდი ასაკია, შენ ახლა მზეზე მიფიცხება და ერთი-ორი საათით თვალის მოტყუება ყველაფერს გირჩევნია. ამიტომ ყურადღებას არ აქცევ შემოჩენილ უსაქმურს, ის კი იუკადრისებს, ზურგს აიზნექს, აიჯაგრება და ერთს იმისთანას დაიკნავლებს, უპატრონო კატების მთელი ხროვა გააფთრებით დაგაცხრება თავს. რას იზამ, ტყავის გადარჩენაზე უნდა იფიქრო, უკან-უკან იხევ, სახურავის პირას მიიჩიხები, ფეხი აგიცდება და სანამ მიწას დაასკდებოდე, ერთი ათჯერ მაინც გადატრიალდები ჰაერში.

არავითარი ადამიანური პირობები შენ არ გაგაჩნია! პირის დაბანა გინდა და — მარტო თათებით უნდა დაიბანო. და ეს თათები, რომლებითაც მთელი დღე, ვინ იცის, სად არ იხეტიალე, საკუთარი ენით უნდა დაისველო. თათებია შენი პირსახოციც. იბან პირს ასე, მთებისკენ პირშექცეული, ხალხი კი გიყურებს, თითს გიშვერენ და ამბობენ, ხვალ კარგი ამინდი იქნებაო. ისემც მაგათ რა ვუთხრა, უპატრონო კატას დარის თუ ავდრის რამე გაეგებოდეს!

მაინც არასასიამოვნოა, როცა ადამიანები გიყურებენ და თითს გიშვერენ.

არა, არა, აუტანელია კატის ყოფა!

ორი დღე-ღამის შემდეგ ხიგუ ისევ ბიჭად გადაიქცა. დაბრუნდა შინ წარბშეკრული, მოქუშული. დედამ ყველას სთხოვა, ალერსიანად მოქცეოდნენ, მამამ კი ბრძანა, არავის ეწყენინებინა მისთვის. ეგონა, მომხდარი ამბის შემდეგ ჭკუას ისწავლის, ხასიათი შეეცვლებაო. ჰოდა, იმ დღიდან ყველა ალერსით ექცეოდა ხიგუს, ყველაფერს უთმობდნენ, ბიჭს კი მაინც ეჩვენებოდა, დამცინიან და მაჯავრებენო.

ერთხელ ხიგუ ბაღში წყნარად მოთამაშე და-ძმას წაადგა თავს. თამაში თვითონაც უნდოდა, მონატრებოდა კიდევაც, რადგან დიდი ხანი იყო არ ეთამაშა — ბევრ კატებს თამაშის თავი სადა აქვთ, ძლივს და-

ლასლასებენ, თავდამძიმებულნი და კუდათრეულნი.

— მეც მინდა თამაში, — თქვა ხიგუმ, ისე, რომ არ გაუღიმია.

— მოდი, ვითამაშოთ! — გაუხარდათ პატარებს.

— ოღონდ აღარ დაგვკაწრო... — დასძინა უმცროსმა ძმამ.

— ნუღარც დაგვკბენ... — სთხოვა დაიკომაც.

ამის თქმა იყო და ხიგუ გააფთრებული მივარდა და-ძმას, ორივე დაიჭირა და ისე მაგრად უკბინა, ლამის სისხლი დაადინა. პატარებმა შეჰკივლეს და ტირილი მორთეს. სწორედ ამ დროს ხიგუ შეთრთოლდა, მოეჩვენა, ყბები მემტვრევაო, და უცებ იგრძნო, როგორ ამოუვიდა პირში ეშვები, ცხვირი დაუგრძელდა და დრუნჩს დაემსგავსა, ყურები ჩამოეფლარტა, სხეული უხეშმა ბეწვმა დაუფარა. დასაყვირებლად პირი გააღო, მაგრამ ყვირილის ნაცვლად ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყეფა აღმოხდა:

— ჰამ! ჰამ!

ხიგუ ნაგაზად გადაიქცა.

— ანჩხლა! ანჩხლა! — ტირილით შემობრუნდნენ მისკენ პატარები და... ადგილზევე გაშეშდნენ: მათ წინ ავად კბილებდაღრჭენილი, ბანჯგვლიანი ნაგაზი იდგა. შეშინებულ ბავშვებს სათამაშოები ხელიდან გაუცვივდათ და გულგახეთქილებმა სახლისაკენ გაჰკურცხლეს.

ორი დღე-ღამე ხიგუ შინ არ დაბრუნებულა.

მძიმე, გაუხარელია ბებერი ნაგაზის ცხოვრება!

სანამ პატრონი არ გიბრძანებს, იმის ნებაც კი არა გაქვს, ვინმეს ეტაკო და დაკბინო. იძულებული ხარ, რომ ყველაფერი — ეს ბასრი კბილები, ეს საშინელი ხახა, სწრაფი ფეხები, სულის შემხუთველი სიანჩხლე — ალაგმო და შეაკავო. ზიხარ და გახრჩობს საკუთარი უღონო სიავე. მთელი ღამე უნდა იფხიზლო: უპატრონო საქონელი ღობეს გვერდს აფხანს, სადღაც ბაღში უცხო ხმები ისმის, შარაზე დაგვიანებულმა მგზავრმა ჩაიარა — ყველაფერი ეს შენ გეხება, ყველაფერს უნდა გამოეხმაურო, შეუყეფო... წამითაც არავინ არ უნდა დაეჭვდეს: ამ ეზოს პატრონს საიმედო გუშაგი ჰყავს.

ქორმა წიწილა მოიტაცა? — თავი უნდა ააშვირო და უყეფო. მართალია, ვერაფერს უშველი, მაგრამ წესი ასეთია და რას იზამ. შორიახლო რამე ტყიური თუ გაჩაჩუნდა, არ უნდა გამოგეპაროს. კიდევ უარესი: ზოგჯერ ცხელი საჭმლის სუნი გეცემა და ნერწყვის ყლაპვას ვერ აუთავდები. მაგრამ იმ საჭმელს პატრონები თავისთვის იკეთებენ. როცა თვითონ დანაყრდებიან, რაღაც ნარჩენებს, გასვლეპილ ძვლებს შენც მოგიყრიან, და ამით უნდა დაკმაყოფილდე. მაგრამ მაინც ყოველთვის გშია და ცალი თვალით ნიადაგ სახლისკენ იყურები. მერე დროს მოიხელთებ, წამით შევარდები სახლში, იატაკზე დაყრილ ნამცეცებს ხარბად მოასუფთავებ, კარს მოაშურებ და სწორედ მაშინ, ზედ კართან, აღმართულ სახრეს წააწყდები, წააწყდები და შეშინებული ზურგით მიეხეთქები კარს. გამოვარდები და უკან ხარხარი მოგდევს — პატრონის ბავშვები სასაცილოდ გიგდებენ, ერთობიან. რა თქმა უნდა, გული დაგწყდება, მაგრამ აბა ერთი კბილები დაუღრჭიალე — იმავე სახრით იქნებ გვერდები აგიჭრელონ! ამიტომ დგები და მილასლასებ შენთვის.

მაგრამ ბებერი ნაგაზისათვის, რომელსაც არც თამაშის თავი აქვს, არც მეგობრები ჰყავს, ყველაზე საშინელი მოწყენილობაა!

ეჰ, ძნელია ბებერი ნაგაზის ცხოვრება, ძნელი!

ორი დღე-ღამის შემდეგ ხიგუ ისევ ბიჭად იქცა და შინ დაბრუნდა.

„ეგ თუ ამ ამბის შემდეგაც არ გამოსწორდა, საშველი აღარ ყოფილა“, — ფიქრობდა შეწუხებული მამა.

ხიგუ სკოლაში იყო წასასვლელი, მაგრამ მარტო წასვლას ვერ ბედავდა, ვაითუ ამხანაგებმა უკვე ყველაფერი იციანო. მაშინ მამამ წაიყვანა სკოლაში, განმარტოებით ესაუბრა მასწავლებელს და აუხსნა, თუ რატომ გააცდინა ხიგუმ ეს რამდენიმე დღე.

— თქვენ ნუღარ მოაგონებთ ბავშვს ამას, — ურჩია მასწავლებელმა, — შევეცდები, რამე ვიღონო...

და იღონა კიდეც:

—დღეს ჩვენ უჩვეულო გაკვეთილი გვაქვს, — საზეიმო კილოთი თქვა მასწავლებელმა კლასში შესვლისთანავე. — ერთი ამბავი უნდა გიამბოთ. იყო, და არა იყო რა, იყო ერთი ბიჭი...

და მასწავლებელმა ყველაფერი უამბო მოსწავლეებს. მართალია, ხიგუს სახელი არ უხსენებია, მაგრამ ისე ზუსტად დაახასიათა, რომ ბავშ-



ა გ ა რ ა კ ზ ე.

ნარგიზა მხონჯია,

სოხუმის ნ. ლაკობას სახელობის მე-10 აფხაზური საშუალო სკოლა

ვები უმალ მიხვდნენ, ვისაც გულისხმობდა, რადგან მათ კლასში მარტო ხიგუ დადიოდა ქუში და გაუღიმარი, მარტო ის აწიხლობდა, სხვებს გუნებას უწამლავდა და წამდაუწუმ ჩხუბობდა ფრჩხილებით, კბილებით თუ მუშტით.

ზარი დაირეკა, გაკვეთილი დამთავრდა. როგორც კი მასწავლებელი ოთახიდან გავიდა, ხიგუს ბავშვები შემოეხვივნენ.

— ხიგუ, მიაუ! — კნაოდნენ ზოგნი.

— აბა ერთი, შენი ბრჭყალები გვიჩვენე!

— ხიგუ, ჰამ, ჰამ!

## მთვარისფერი სიზმრები

**გიორგი ადლეიბა**

გადალაგდნენ ჩრდილები,
მზის გულზე რომ ეყარა,
მთვარისფერი სიზმრებით
იქარგება ქვეყანა!..
შეწყდა ჩიტთა გალობა,
სიწყნარეა გარშემო,
სიზმარს ნახავთ ბედნიერს,
დაიძინეთ, ბავშვებო!..
— შიში, ნანი*, გეთაყვათ,
აფხიარცის** წყალობით,
დილა გაგითენდებათ
ბულბულების გალობით!..

## პრანჭია სტუმარი

**დაურ ბზანბა**

სახუმარო

მხიარული კაცი გახლავთ
ჩვენი ლექსის გმირი:
სტუმრად მიდის,
მიიმღერის,
მიჩაქჩაქებს ვირით!..
ჭიშკრამდე რომ მიაღწია
გაიბადრა მზისებრ:
ჩამოხტა და ულვაშები
გადიგრიხა მყისვე.
გადივარცხნა ქოჩორი და
აიპრიხა ცხვირი...
მიიხედა, მოიხედა, —
— ფაფუ, — შენი ვირი!..
გამოცვივდნენ მასპინძლები, —
სტუმარს გული მისდის!...
ვირი ხეზე რომ მიება,
ხომ არ ჭამდა სირცხვილს!..

თარგმნა გივი ძნელაძემ

*) აფხაზური „იავნანა“.
**) აფხაზური მუსიკალური საკრავი.

— აბა ერთი, კბილები დაკრიჭე!

— რითი ეცემოდი ხოლმე, მუცლით თუ ზურგით?

ხიგუ საშინლად განიჩხლდა, ჯერ ფურთხება დაიწყო, მერე მუშტით, კბილებითა და ფრჩხილებით ჩხუბზე გადავიდა, ბოლოს წიხლების ქნევას მოჰყვა. ჰკრა თუ არა ერთ-ერთ ბავშვს წიხლი, უცებ ყურები დაუგრძელდა, მეორეს ჰკრა და — კიდევ ორი ფეხი გაუჩნდა, ხოლო მესამედ რომ ჰკრა ტლინკი, მთლიანად ვირად გადაიქცა და განურჩევლად ყველას წიხლით დაერია. ბავშვები გაიფანტნენ, მაგრამ ვირი მაინც იქნევდა წიხლებს. მაშინ ვიღაცამ საიდანღაც გრძელი შოლტი მოიტანა, ვირი წინ გაიგდო, ხიგუს მამის ეზოში შედენა და უკან გამობრუნდა.

ეჰ, მძიმე და უსიხარულოა ვირის ცხოვრება!

დღედაღამ ფეხზე უნდა იდგე, ზეზეულად უნდა გეძინოს. აბეზარი კრაზანები და ბუზები მოსვენებას არ გაძლევენ, მთელი სხეული გექავება, მაგრამ ღმერთს შენთვის ფრჩხილებიც კი არ მოუცია ტანის დასაფხანად. ტვირთს იმდენს გიდებენ, ლამის ხერხემალი ჩაგიმსხვრიონ, შენი წვრილი ფეხები არავის არაფრად ედარდება. ვთქვათ, დაიღალე და შეჩერდი, ცოტა სული გინდა ამოითქვა, თანაც გზის პირას ისეთი მწვანე, ქორფა, სურნელოვანი ბალახი ხასხასებს... მაგრამ აბა ერთი გაბედე და წასწვდი! ისე გადმოგცხებენ სახრეს, რომ ბალახზე ფიქრიც კი აღარ მოგინდება. შენ, ძმაო, ვირი ხარ და შენთან ლაპარაკი მხოლოდ სახრის ან მათრახის ენით შეიძლება... ხანაც დაგაბამენ და თვითონ წავლენ არხეინად, ვის რაში ედარდება, მზე დაგწვავს თუ წვიმა გაგატანს ძვლებამდე... ყოველი დღე მძიმე შრომაში იწურება, ყოველი დღე ერთფეროვანი და დამღლელია, და სულს მოწყენილობა ეუფლება.

რად უნდა ლაპარაკი, მწარეა საცოდავი ვირის ცხოვრება!

ხიგუ ფიქრობდა, რომ ორი დღე-ღამის შემდეგ ისევ ბიჭად იქცეოდა. „ცოტაც უნდა მოვითმინოო“, — იმედებდა თავს.

მაგრამ მესამე დღესაც არაფერი შეცვლილა. პატარა და-ძმა შეჰხაროდა ვირუკას, თითქოს ცოცხალი სათამაშოაო. თანაც, თუ კაცს ეზოში ვირი გყავს, ფეხით ხომ არ ივლი?! ჰოდა, ხან ერთი მოაჯდებოდა ზურგზე, ხან მეორე, ვირი კი წიხლის კვრას ვერ ბედავდა. ერთს კი გაოჩნდებოდა, მაგრამ პატარები მაშინვე შემოსცხებდნენ და დაატარებდნენ ეზოში.

— მოეშვით, ბავშვებო, ხელში ჩაგაკვდებათ, აცალეთ, ბალახი მოძოვოს, — უყვიროდა მათ მამა.

— ნუ აწვალებთ, შვილებო, ისედაც შავ დღეშია, ხომ ხედავთ! თვალცრემლიანი ევედრებოდა დედა.

ერთხელ პატარებმა ვირით მდინარეზე ჩაისეირნეს. რიყეზე რომ ჩავიდნენ, გოგონა ჩამოქვეითდა. ბიჭუნას ვირის გაბრაზება მოეხასიათა და ყურში ბალახის ღერით შეუღიტინა. გამწარებული ვირი მდინარისკენ გაექანა და ზედ ნაპირთან მკვეთრად შედგა. ბიჭუნა ვირის ზურგს მოსწყდა, ჰაერში ავარდა და პირდაპირ თავით ჩაეშვა ღრმა მორევში. გოგონამ შეჰკივლა, „მიშველეთო“, — მოჰყვა ყვირილს, მაგრამ ახლომახლო არავინ ჩანდა.

„ეგეც შენ, — გულში ნიშნს უგებდა ხიგუ-ვირი, — მიდი ახლა და იცურავე!“ მაგრამ უბედურებაც სწორედ ის იყო, რომ ბიჭუნამ ცურვა არ იცოდა, წყალში უმწეოდ ფართხალებდა და ძალა ელეოდა. გოგონა ტირილით უხმობდა მშველელს, მაგრამ ამაოდ. ბიჭუნამ უკვე ჩაყლაპა წყალი, სადაც იყო, ჩაიძირებოდა კიდეც... ხიგუს თვალწინ იხრჩობოდა მისი პატარა, უგუნური ძამიკო... ქვისაც რომ ყოფილიყო, განა ხიგუს გული აიტანდა ამას?!. და თუმცა ცივ წყალში ჩაყვინთვა არც თუ მთლად სასიამოვნოა, ვირი მორევში ჩაყურყუმალავდა და კბილებით ამოათრია უკვე საკმაოდ წყალნაყლაპი, ცოცხალ-მკვდარი ბიჭუნა, ამოათრია და ნაპირზე დაასვენა.

ამ დროს ხიგუს მთელი არსება რაღაც უცნაურმა, მშვენიერმა, ტკივილშერეულმა ტკბილმა გრძნობამ აავსო. მან იგრძნო, რომ გული აქვს, და გაიგონა საკუთარი გულისცემა. თქვენ ალბათ მიხვდით — მის არსებაში სიკეთისა და სიყვარულის ნათელი გრძნობა დაიბადა. ხიგუმ შვებით ამოისუნთქა და მის თვალწინ გადაიშალა კაშკაშა, სიხარულით სავსე სამყარო. პატარა დაიკო ცრემლიანი ღიმილით შემობრუნდა მისკენ, ბიჭუნამაც გაახილა თვალი: მათ წინ ხიგუ იდგა და იღიმებოდა.

ბიჭუნა ისე წამოხტა, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, და დასთან ერთად უფროს ძმასთან მიირბინა.

— ხიგუ, ხიგუ, ჩვენო კარგო ძამიკო! — გახარებულებმა შესძახეს და პაწია ხელებით კისერზე ჩამოეკიდნენ.

ხიგუმ ორივეს ალერსით გადაუსვა თავზე ხელი.

თარგმნა ნუგზარ აფხაზავამ



ძველ ნანგრევებთან ისტორიის მასწავლებელი ატარებს გაკვეთილს

# ლიხნაშტის გუშინდელი, დღევანდელი და ხვალინდელი დღე

გ. ალამია

სოფლის ეს საკრებულო, ლიხნაშტა[1], ხელისგულივით გადაუშლია მთებს ქვეყნიერების წინაშე. გულციცვად ვერ ჩაუვლი მას გვერდით, რაღაც ძალა აქვს ისეთი, გაიძულებს მიმოიხედო, ჩაფიქრდე. ამ ადგილთან, ამ მინდორთან დაკავშირებულია სოფლის მთელი ისტორია, აფსნის ისტორია, მისი დღევანდელი და ხვალინდელი დღე.

ლიხნაშტა... დიდი სოფლის გული... ადგილი, სადაც თავს იყრის ჩვენი ისტორიის გზები... უხუცესი ცაცხვი მინდვრის შუაგულში — ხალხის გასაჭირისა და სიხარულის მოწმე... და აქვე ლოდები, ქვები... ზედ დაჭდეული წარსულის კვალი... აქ პირველად მოსულს იქნებ მოეჩვენოს კიდეც, თითქოს დუმდეს ყოველივე ეს... მაგრამ აქ დაბადებული კაცისათვის გასაგები და ნაცნობია მათი ენა.

ლიხნაშტა... ჩახჩახა მზის სხივებივით გაუშლია მას მთელ სოფელში ბილიკები. ამ ბილიკებით მოდიან აქეთ შენი თანასოფლელები, მოაქვთ თავთავიანთი საზრუნავი თუ სიხარული, ვერა ქარი ვერ გაფანტავს აქ შობილ სიმღერას

თითოეული ლიხნელისათვის ქვეყნიერების გზა აქ იწყება, ამ მოედნიდან. მან გაატანა ყველას თან ამოუწურავი სიკეთე, სინდისი და სიამაყე. ღრმად სიმბოლურია, რომ შაქრილის სახელობის ლიხნის საშუალო სკოლა ლიხნაშტას განაპირას დგას — ამ მოედნის გაუვლელად ვერ გახვალ ცხოვრების დიდ გზაზე. აქაა შენი ფესვები, ამ მიწასთან შეზრდილი. იგია, რომ გასაზრდოებს რწმენით. აქედან, შენი სოფლის ისტორიის საწყისიდან ქვეყნიერებას ხედავ. აქ გაზიარა ცოდნის წყაროს შენმა მასწავლებელმა. ასო „ა“-ს შემდეგ აფხაზურ ანბანში მეორე ასოდ ამოიკითხე „ნ“. მესამე გვერდზე კი წაიკითხე უმთავრესი და უდიდესი სიტყვა „ან“ — დედა.

ამ სიტყვიდან დაიწყო შენთვის სამშობლო. დედამ მიგიყვანა ხელჩაკიდებულმა სკოლაში. აქ, ლიხნაშტაზე გაიარეთ მაშინ ორივემ. ამ ძველთაძველ ლოდებს ჩაუარეთ გვერდით. შემდეგ, თანატოლებთან ერთად, შესვენებაზე გამოხვალ ხოლმე გარეთ, იმ მდელოზე, იმ მოედანზე ირბენ და ითამაშებ, ისტორიის მასწავლებელი ძველ ნანგრევებთან ჩაგიტარებს გაკვეთილს. ოდესმე მიხვდები, რაც კი ლიხნაშტასთან, ბედნიერ ბავშვობასთან არის დაკავშირებული, იმან მიგიყვანა წმიდათაწმიდა ცნების — „სამშობლოს“ გაგე-

[1] ისტორიული მოედანია სოფელ ლიხნის ცენტრში.

ბამდე. ახლა, როცა შუა მოედანზე დიდი ლენინის ძეგლთან წითელ ყელსახვევს გიკეთებენ, თვალები გიციმციმებს ბედნიერებით. მას უმადლი შენს ბედნიერ ბავშვობას, პიონერობას. მომავალში მრავალ ბედნიერებას მოესწრები, მაგრამ ეს დღე მუდამ მთავარ, უპირველეს დღედ დარჩება შენს ცხოვრებაში. ახლა შენს სკოლაში 250 ნორჩი ლენინელი სწავლობს. ბევრი კარგი საქმის მოთავენი არიან პიონერები. ისინი იყვნენ, უფროსები რომ დაიხმარეს და ისტორიისა და ეთნოგრაფიის მეტად საინტერესო მუზეუმი შექმნეს. მათთან მოდის თანატოლთა უამრავი წერილი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან თუ უცხოეთიდან. ისინიც საპასუხო ბარათებში უამბობენ მათ თავიანთ სოფელზე, ადამიანებზე, საქმიანობაზე, ლიხნაშტაზე... იძენენ მეგობრებს, იძენენ ცოდნას, ემზადებიან, რომ გახდნენ ჩვენი დიდი ქვეყნის ღირსეული მოქალაქენი. სკოლიდან გამოსულები ლიხნაშტის მწვანე ხალიჩაზე შედგამთ ფეხს, გაივლით მას, რათა განაგრძოთ ცხოვრება.

იცხოვრეთ ჩვენი ხალხის გმირული წარსულით, ბედნიერად და ღირსეულად, როგორც ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას ეკადრება.

## უარხანი

### ბ ა ი ფ  ა ჯ ბ ა

მამიკოს უმზერს უარხანი —
მამიკო უზარმაზარია.
სასახლეს უმზერს უარხანი —
სასახლე დიდი და ახალია.
სალ კლდეებს უმზერს უარხანი,
ო, რა პირქუში და მაღალია!
ლურჯ ზეცას უმზერს უარხანი —
დიდ ქუდად ახურავს რა ხანია...
თვითონ კი ბიჭია თითისხელა,
ზემოდან დაჰყურებს თითქმის ყველა.

აცადეთ, უარხანი გაიზრდება,
როდესაც გახდება მამისხელა —
უსაქმოდ ბიჭს რა გააჩერებს:
ზღაპრულ სასახლეებს ააშენებს,
დაჯაბნის კლდეებსაც თვალუწვდენელს,
ხრიოკსაც ბაღნარით დაამშვენებს
და ცაში, სულ მაღლა, ლურჯ ცაში
საკუთარ რაკეტებს გააჭენებს.

თარგმნა ა. გურგენიძემ



კვიპაროსები. სლავა გულარია. გუდაუთის რაიონი, აჟანდარის საშუალო სკოლა.

„კოცონის" სარედაქციო ფოსტაში ხათუნასა და ნანას წერილები მაშინ მოიტანეს, როცა სტარტი აიღო საკავშირო პიონერული მარშის ახალმა ეტაპმა.

### გთავაზოგთ ამ წერილებს:

„ძვირფასო რედაქცია! მეორე წელია, რაც ჟურნალ „პიონერის" ფურცლებზე გახსნილი პიონერული აქტივის კლუბში სისტემატურად ვხვდები ჩვენი რესპუბლიკის აქტივისტებს, ვიზიარებ მათ გამოცდილებას, ვგრძნობ მათ გულისტკივილსაც.

ვარ რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის" ნორჩ კორესპონდენტთა შტაბის წევრი. განსაკუთრებით პიონერული აქტივისტების მუშაობა მაინტერესებს.

ამჯერად ჩემს გულისტკივილზე გწერთ. იგი მეშვიდეკლასელ შორენას ეხება. შორენამ შარშანდელი ზაფხული ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გაატარა, დედასთან ერთად მუშაობდა.

— ყოჩაღ, შორენა, ჩაის კრეფაში რომ გვასახელეო, — აქებდნენ მას სკოლაში მასწავლებლები, მაგრამ... ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც „ჩაის მკრეფავი" სასაცილოდ აიგდეს.

მერედა ჩაის მკრეფავის სახელი განა დასაცინია? ჩვენი რაიონი ხომ ყველაზე მეტად ჩაის კრეფის ოსტატებით, სოციალისტური შრომის გმირებით ამაყობს. მარტო სოფელ ახალსოფელში 25-ზე მეტი გმირი ცხოვრობს.

პიონერული მარშის ახალი ეტაპის მარშრუტებს კომკავშირელებიც გულდასმით გავეცანით. კარგად გავიაზრე მისი დევიზი: „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები!" რომელიც თითოეული ჩვენთაგანისაგან აქტიურ საქმიანობას მოითხოვს.

მეშვიდეკლასელი შორენა და მისი თანატოლები ხომ რაზმეულში უმცროსი პიონერების წინამძღოლები და საიმედო დასაყრდენი არიან. შორენამ სწორედ თავისი შრომით დაუმტკიცა უმცროსი კლასის პიონერებს, ყველას, რომ მან ზაფხულში თავისი გარჯით, შრომისმოყვარეობით მოუტანა წარმატება სკოლას, რაზმეულს, რაზმს.

განა უგუნურება არ არის შორენასადმი ზოგიერთი მოსწავლის ასეთი დამოკიდებულება? განა შრომა, ჩაის კრეფა სამარცხვინოა?

ხათუნა აქუბარდია,
ზუგდიდის მე-8 საშუალო სკოლის
IX კლასის მოსწავლე.




ნათელა ფაილოძე

# მარშმა სტარტი აიღო

## მეორე წერილი:

„მსურს ჩემი გულისტკივილი გაგიზიაროთ: ჟურნალ „პიონერის" 1978 წლის მე-11 ნომერში „კოცონის" ერთ-ერთ გვერდზე წავიკითხე წერილი „ვინ არის რაზმში მეთაური?" იმ წერილში ცოტათი ჩემი თავიც ამოვიცანი.

ორი წელია, რაც პირველი რაზმის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ვასრულებ.

გამოგიტყდებით, ძალიან გამეხარდა, როცა თანარაზმელებმა რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს.

შარშან ჩემი რაზმი მარჯვენაფლანგელი იყო. ჯილდოც დავიმსახურეთ. წლეულს კი ყველაფერი შეიცვალა. რაზმში ხუთოსნები ოთხოსნები გახდნენ, იმატა ოროსნების რიცხვმა. მუშაობა კი თითქოს არ შეგვისუსტებია, პირიქით, უფრო გავაძლიერეთ კიდეც. განსაკუთრებით ეს ეხება საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროს.

ჩემი რაზმი პიონერული დავალებების შესრულებაში მთელ რაზმეულში გამოირჩევა; სკოლის დირექციამ მას მადლობა გამოუცხადა.

ისიც უნდა ითქვას, რომ მადლობის გვერდით საყვედურიც გაჩნდა — საყვედური ცუდი დისციპლინისათვის!

მართალია, რაზმში ისეთი საგანგაშო არაფერი მომხდარა, მაგრამ დისციპლინა თუ მტკიცეა, ოდნავ დარღვევასაც ვერ იტანს. გთხოვთ, მიპასუხოთ, ვინ არის დამნაშავე, მე თუ ჩემი რაზმის წევრები? ჩემს კითხვაზე განსაკუთრებით მეშვიდე კლასის პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარეების პასუხი მაინტერესებს, როგორ წყვეტენ ისინი ამ პრობლემას მეშვიდე კლასში?

ნანა ნოზაძე,

ჭიათურის რაიონის სოფელ ზედა უსახელოს რვაწლიანი სკოლის ულიანა გრომოვას სახელობის რაზმეულის პირველი რაზმის საბჭოს თავმჯდომარე.

როგორც ხედავთ, ორივე წერილი მეშვიდეკლასელთა ცხოვრებას ეხება.

...ორი წლის მანძილზე ივლით პიონერთა მარშით, რომლის დევიზია „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები". ამ გზაზე თქვენი რაზმი შეგიძლიათ მეგობრული, აქტიური გახადოთ და იამაყოთ ყოველი მისი საქმით, მისი ცხოვრების ყოველი დღით. თუ თითოეული პიონერული რაზმი მიაღწევს ამ მიზანს, მაშინ მთელი რაზმეული მებრძოლი, აქტიური გახდება. მზად იქნება გადაწყვიტოს ამოცანები, რომლებსაც პიონერების წინაშე აყენებენ სამშობლო, კომუნისტური პარტია, ლენინური კომკავშირი.

მარშმა დიდი ამოცანები დაუსახა მეშვიდეკლასელებს, მათს პიონერულ რაზმებს, უმცროსი პიონერების წინამძღოლებს.

მარში გკარნახობთ, რომ სისტემატურად უნდა გაიღრმავოთ ცოდნა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, უნდა უკეთ გაიაზროთ მისი როლი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის საქმეში.

— „ვისწავლოთ კომუნიზმი", — ამ ლენინური ამოცანის აზრსა და შინაარსს რომ ჩასწვდე, ამისათვის უნდა შეისწავლო და რაზმში განიხილო ვ. ი. ლენინის სიტყვა კომკავშირის III ყრილობაზე, ლ. ი. ბრეჟნევის მიმართვა ახალგაზრდობისადმი, საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის მასალები; მონაწილეობა უნდა მიიღო ლენინური, ისტორიულ-რევოლუციური, სამხარეთმცოდნეო, სახელმწიფო და სასკოლო მუზეუმების დავალებათა შესრულებაში; ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების წიგნების მიხედვით უნდა გამართო მკითხველთა კონფერენციები და დისპუტები; უნდა გაეცნო ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრინციპებს, ლენინური კომკავშირისა და პიონერთა ორგანიზაციის ინტერნაციონალურ ურთიერთობებს; მონაწილეობა მიიღო ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის მოძრაობაში, მიტინგებსა და მანიფესტაციებში, პოლიტიკური პლაკატების, სიმღერების, ნახატების კონკურსებში; ისწავლო საერთაშორისო და შიგაპოლიტიკური ამბების კლასობრივი პოზიციებიდან შეფასება, რაზმის წინამძღოლმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ მისი რაზმის წევრები კომუნისტური შრომის ბრიგადებთან, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივებთან კონტაქტში დაეუფლონ შრომისადმი ლენინური დამოკიდებულების ჩვევებს და ა. შ.

მეშვიდეკლასელს უნდა ახსოვდეს ნორჩ ლენინელთა კანონი — „პიონერი ემზადება, რომ გახდეს კომკავშირელი".

ეს თითოეული მეშვიდეკლასელის ცხოვრების მთავარი კანონია!

პიონერთა საკავშირო მარშის მიერ თითოეული პიონერისადმი მიცემული ამ დიდი და საპასუხისმგებლო დავალების შესრულების დროს უსათუოდ მაშინვე გამოირჩევიან ყოჩაღები. ჰოდა, როგორ ფიქრობთ, ვისა აქვს უფლება, შრომის წყურვილი ჩაუკლას ვინმეს, მათ შორის შორენას? კარგია, როცა ბეჯითი შრომით უფროსების ქებას დაიმსახურებთ ხოლმე, მაგრამ ისიც დაიმახსოვრეთ, მარტო საზოგადოებრივი დავალების შესრულებაში სიყოჩაღე არ კმარა — სწავლა მოსწავლის უპირველესი მოვალეობაა, სიყოჩაღე ორივეში ერთნაირად მოგეთხოვებათ, ერთმა მეორეს ხელი არ უნდა შეუშალოს.

ვ. ი. ლენინის მოთხოვნა, რომ „ყოველდღე, ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც სულ მცირე, თუნდაც სულ უბრალო ამოცანას", ყველა პიონერს ეხება. ამ პრინციპით უნდა იმოქმედოს პიონერულმა აქტივმა სკოლაში, შინ თუ გარეთ, საკოლმეურნეო მინდორზე, ფერმაში, ჩაის პლანტაციებში თუ ციტრუსების ბაღებში, მხარი აუბას უფროსების შრომას, იმ დიდ და სასიკეთო საქმისათვის ბრძოლას, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა საქართველოს ძლიერებისათვის ეწევიან.

საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის პიონერთა რაზმების მარშმა, რომელიც ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს ეძღვნება, კარგა ხანია, რაც სარაზმეულო პიონერულ ხაზზე აიღო სტარტი; აუცილებლად გამოეხმაურე ხათუნასა და ნანას გულისტკივილს, ამასთან ერთად გვაცნობე, როგორ ააწყო მუშაობა თქვენმა რაზმეულმა.



მერვეკლასელი ქეთინო გეჟანიშვილი ამეცადინებს ნინო გაიაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მზისაკენ მიუწევთ გული

**დ. ჭელიძე**

ჩვენს წინ ათიოდე ბავშვია. ისინი მეშვიდე **ა** და მეშვიდე **ბ** პარალელურ კლასებში სწავლობენ. თავდაპირველად მორცხვობდნენ, ლაპარაკი უძნელდებოდათ, ვერ წარმოედგინათ, რომ მათი ყოველდღიური საზრუნავით ვინმე დაინტერესდებოდა; არა და ნამდვილად სასარგებლო საქმეს აკეთებენ! „აუცილებლად თემურელი უნდა იყო, გაჭირვებულ კაცს რომ ხელი წააშველო, წაქცეული წამოაყენო, ავადმყოფს მოუარო?“ —ასე ფიქრობენ ეს ბავშვები.

გორის მე-2 საშუალო სკოლაში 25 თემურელია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თემურელთა პრინციპებს სხვები არ იზიარებენ. განსაკუთრებით ეს ითქმის სკოლის აქტივისტ კომკავშირელებზე, ყოფილ მოწინავე პიონერებზე, ყველაზე უკეთ მათ მოეხსენებათ, რომ ყველა მოვალეა აკეთოს კეთილშობილური საქმე...

პიონერებსაც აქვთ ორმაგი საზრუნავი: თუ კომკავშირელი პიონერს ეხმარება, ასწავლის, ურჩევს, პიონერმა თავის მხრივ ოქტომბრელს უნდა ასწავლოს უფროსების პატივისცემა: მარტო საუბრებით კი არ უნდა შემოიფარგლოს, არამედ დაანახოს თავისი გაკეთებული საქმე, აჩვენოს, პატივისცემას, თითონაც ეცდებიან, სასარგებლო საქმე გააკეთონ...

— უფროსების დახმარება, მარტოხელა და ავადმყოფ მოხუცებზე ზრუნვა მართლაც რომ კეთილშობილური საქმეა, მით უმეტეს, თუ მოსწრების მხრივაც არ ჩამორჩებით, — ვეუბნებით ნორჩ თემურელებს.

— ჩვენ კარგად ვსწავლობთ, ვბეჯითობთ, — ამბობენ გორელი მოსწავლეები, — აბა, ისე როგორღა დავიმსახურებდით თემურელთა საპატიო სახელს.

— სკოლაში თემურელთა შტაბი გვაქვს შექმნილი. — გვიყვება რაზმეულის საბჭოს წევრი თამილა ნასყიდაშვილი, — შტაბს აზა ქასოშვილი ხელმძღვანელობს. ყოველ ოთხშაბათს შტაბის წევრები სამუშაო

როგორ იღვწის, როგორ ეხმარება უფროსებს და ისინიც თავისთავად მიეჩვევიან წესიერებასა და სხვის



გეგმის მიხედვით ვამოწმებთ, ვის როგორ შესრულა დავალება, ვის რისი გაკეთება მოუწევს კვირის მანძილზე. გარდა ამისა, შტაბის წევრები, ისევე როგორც ყველა თემურელი, აქტიურად მონაწილეობენ სკოლის პიონერულ ცხოვრებაში. საერთოდ, მრავალ ღონისძიებას ვსახავთ და ვატარებთ. ჩვენ, მაგალითად, სამი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან ვმეგობრობთ, — განაგრძობს თამილა ნასყიდაშვილი, — ვეთამაშებით, საინტერესო ამბებს ვუყვებით. ამას წინათ სკოლაშიც მოვიწვიეთ ნორჩები, საჩუქრები გადავეცით, ზოგიერთმა თვითნაკეთი სათამაშოც კი უძღვნა პატარებს. სკოლაში შექმნილი გვაქვს სპეციალური რაზმები წესრიგის დასაცავად, ვებრძვით უსუფთაობასა და უწესრიგობას... ზურაბ წალდაძე მეშვიდე ბ კლასში სწავლობს. ერთხელ, კინოდან რომ ბრუნდებოდა. გზად მიმავალი მოხუცი დაუნახავს, გაჭირვებით მიჰქონდა თურმე ტვირთი. ზურაბი მიხმარებია, ტვირთი გამოურთმევია და სახლამდე მიუცილებია მოხუცი. მასაც, თავის მხრივ, უკითხავს ბიჭისთვის, რომელ სკოლაში, რომელ კლასში სწავლობ, ვინ არის შენი დამრიგებელიო... მეორე დღეს ყველა კმაყოფილი იყო სკოლაში. გაბრწყინებული სახე ჰქონდა დიდსა თუ პატარას. თურმე იმ ქალს იმ დღესვე შემოუთვლია სკოლაში, მადლობა გამოუცხადეთ ზურაბ წალდაძეს, მის მასწავლებლებს და მშობლებს ასეთი კარგი ბავშვის აღზრდისათვისო. ამას რომ გვიამბობდა სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი, საქართველოს კომკავშირის 31-ე ყრილობის დელეგატი მანანა ინასარიძე, ზურაბი დარცხვენილი იდგა, ასეთმა უბრალო ამბავმა ამხელა რეზონანსი რომ გამოიწვია. ზურაბს არც კაცი გადაურჩენია, არც გმირობა ჩაუდენია, კეთილშობილური საქმე გააკეთა მხოლოდ — უცნობ ადამიანს, მოხუცს პატივი სცა, სიამოვნება და სიხარული მიანიჭა თავისი ქცევით. ეს კი, ვფიქრობთ, არ არის უმნიშვნელო რამ...

— მე ინვალიდი მეზობელი მყავს, შვილსა ზრდის და საქმეს ვერ აუდის. ხშირად ვულაგებ ხოლმე სახლს, სადილსაც ვუმზადებ, რამდენჯერმე ბავშვიც ვამეცადინე, — გვიამბობს ლალი თიბილაშვილი...

მე და ჩემი და სოფელში მივდიოდით, ბებიასთან. კუპეში მოხუცი ქალი მგზავრობდა ჩვენთან ერთად. რომ ჩამოვედით, ბარგის წაღებაში მივეხმარეთ, თურმე იქვე, ბებიას მეზობლად ცხოვრობდა, — გვითხრა ხათუნა გუნდიშვილმა...

იმავე საღამოს ხათუნას და მის დას ბებიას თანდასწრებით მადლობა გადაუხადა მოხუცმა ადამიანმა...

თემურელები სისტემატურად ამეცადინებენ ჩამორჩენილ მოსწავლეებს, თანაკლასელებს თუ პარალელური კლასების ამხანაგებს, უმცროსებს. ესეც ხელს უწყობს ალბათ, რომ სკოლაში საკმაოდ მაღალი აკადემიური მოსწრებაა, ყოველ შემთხვევაში, ცუდი სწავლითა და ზარმაცობით ბევრი არ „გამოირჩევა“ სასწავლებელში.

წიგნის სიყვარულიც დიდი აქვთ ბავშვებს, განსაკუთრებით სათავგადასავლო ლიტერატურა იტაცებთ, ხოლო მათი საყვარელი მწერლის არკადი გაიდარის წიგნი „თემური და მისი რაზმი“ ყველას გადაბულბულებული აქვს, ამ წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმიც ნანახი აქვთ.

— ლიტერატურის ამორჩევაში, როგორც ბევრ სხვა საქმეში, დიდად გვეხმარება მანანა მასწავლებელი,— გვითხრეს პიონერებმა.

მანანა ინასარიძე მართლაც ბევრს მუშაობს ბავშვებთან და ალბათ ამ მიზეზითაც ითვლება ქალაქში ერთ-ერთ საუკეთესო პიონერხელმძღვანელად. მისი ხელმძღვანელობითა და დახმარებით მიუყვებიან ამ სკოლის მოსწავლეები საკავშირო პიონერული მარშის მარშრუტებს, ბევრ საინტერესო და მოსაწონ საქმეს აკეთებენ. ჩინებულად შედგენილი ალბომები, სამუშაო გეგმები, გემოვნებით გაფორმებული პიონერთა ოთახი... ყველაფერი ეს კარგი მუშაობის დასტურია...

რამდენი საინტერესო ექსკურსია, ლაშქრობა, შეხვედრები მოიგონეს იმ დღეს მაია გიგაურმა, ლელა ჯებისაშვილმა, ნანა რევაზიშვილმა, თემურ კალმახელიძემ, თინა მაკარაშვილმა... იმათზეც ილაპარაკეს, ვინც ჩვენ საუბარს არ ესწრებოდა. ბევრიც უთქმელი დარჩათ. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ თემურელებს „ეცოტავებათ“ გაკეთებული, კიდევ მეტისკენ მიუწევთ გული, უფრო მეტი ამხანაგის მოზიდვას აპირებენ — პიონერი და თემურელი ხომ თითქმის ერთი და იგივე ცნებაა...



შრომის ვეტერანი მინა ინასარიძე სტუმრად თემურელებთან

ფოტო ვ. ბორისენკოსი




## ფორმალიზმი— აღზრდის უპირველესი მტერი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 4

# ორი რაზმის ავი და კარგი

თბილისის 149-ე საშუალო სკოლა. პიონერთა ოთახი. მაგიდას უსხედან IV-ა კლასისა და VI-ბ კლასის პიონერული რაზმების ხელმძღვანელები და რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები, რგოლის ხელმძღვანელები, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, უფროსი პიონერხელმძღვანელი. ეს არაოფიციალური, რიგგარეშე სხდომაა. დღის წესრიგში ერთი მთავარი საკითხი დგას: რატომ მოხდა, რომ IV-ა კლასის პიონერულ რაზმში აქტიური მუშაობაა გაჩაღებული, VI-ბ კლასის პიონერულ რაზმში კი ეს მუშაობა დუნე და უხალისოა?

საუბარში ბევრი რამ გაირკვა და კიდევ ერთხელ დადასტურდა ანბანური ჭეშმარიტება: იქ, სადაც ფორმალიზმი გაიჭაჭანებს, საქმე არ გაკეთდება; მოვალეობის კისრება ადვილია, მისი შესრულებაა მთავარი, სამისოდ კი მაღალი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გქონდეს...

აი ისიც, ეს საუბარი:

ეკა კორძაძე, IV-ა კლასის რაზმის საბჭოს თავმჯდომარე:

როცა ამხანაგებმა რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს, სიამაყე ვიგრძენი — ამდენი პიონერის ნდობა სახუმარო საქმე ხომ არ არის! თან ცოტა შევშინდი კიდეც,ვაითუ ნდობა ვერ გავამართლო-მეთქი. მაგრამ თანაკლასელებმა შემომიძახეს, მხარში ამომიდგნენ და გაგიხარიათ, ჩვენ ცეცხლი დავანთეთ და მუშაობა გავაჩაღეთ!.. ყველა საქმე გეგმით იწყება და ჩვენც, რა თქმა უნდა, გეგმით დავიწყეთ. ელისო ხელმძღვანელის მიერ შემოთავაზებული გეგმა განვიხილეთ, დავაზუსტეთ, ახალ-ახალი ღონისძიებები დავუმატეთ და ისე დავამტკიცეთ. მერე დავალებები დავინაწილეთ და მუშაობას შევუდექით. დავაწესეთ კონტროლი — ვინ როგორ ასრულებდა თავის მოვალეობას, რამე ხომ არ უშლიდა ხელს საქმის დროულად და ხარისხიანად გაკეთებაში, სჭირდებოდა თუ არა დახმარება... ამ კონტროლმა ძალიან გვიშველა — რაც გეგმით დავსახეთ, ყველაფერი განვახორციელეთ, ის კი არა, გზადაგზა სხვა საინტერესო ღონისძიებებიც ჩავატარეთ... ერთი სიტყვით, გეგმა ფარატინა ქაღალდად არ დარჩენილა...

ირინე არევაძე, IV-ა კლასის პიონერი:

ეკა საქმიანი ხელმძღვანელი გამოდგა. მართლაც გაგვიმართლა იმედები. ჩვენი შეკრებები ყოველთვის საინტერესოა. იანვარში, მაგალითად, ჩავატარეთ შეკრება თემაზე: „შრომის როლი ჩვენს ცხოვრებაში“. ბევრი კარგად მომზადებული და სასარგებლო მოხსენება მოვისმინეთ: ეკა კორძაძის „როგორ ვეხმარები დედას“, მაია ჭედიას „შრომის როლი ჩვენს ცხოვრებაში“, ჩემი — „როგორ მუშაობდა ლენინი“... ნათელა თიგიევმა ილაპარაკა გამოჩენილი ადამიანების, შრომის მოწინავეების — ეთერ სოლომონიას და გიორგი კურტანიძის ცხოვრებასა და საქმიანობაზე... არანაკლებ საინტერესო გამოდგა დისპუტი, რომელიც თებერვალში მოვაწყეთ. დისპუტის თემად ავირჩიეთ გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ წამოწყებული დისკუსია: „უფლება აქვს თუ არა რაზმის საბჭოს, ჩაერიოს პიონერის პირად ცხოვრებაში“. უნდა გენახათ, რა კამათი გაიმართა! გია სოლომონია, მაია ჭედია, ზურაბ წეროძე გაჰაჭრით ამტკიცებდნენ, რომ საბჭოს აქვს პიონერის პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება. მათ მიემხრო ბავშვების უმრავლესობა...

გია სოლომონია, IV-ა კლასის პიონერი, I რგოლის ხელმძღვანელი:

ლელა ხელმძღვანელი რომ გვეხმარებოდეს, ჩვენი მუშაობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი იქნებოდა. რამდენჯერ მივმართეთ, დახმარება ვთხოვეთ, მაგრამ ყოველთვის მოუცლელობა მოიმიზეზა...

თინა ლობჟანიძე, VI-ბ კლასის რაზმის საბჭოს თავმჯდომარე:

უნდა ვაღიარო, რომ რატომღაც მუშაობა არ გამომივიდა. მართალია, თანაკლასელებმა თავად ამირჩიეს, მაგრამ არ მიჯერებენ და მეც გული ამიცრუვდა. ვერ ვიტყვი, რომ შეკრებებს თუ სხვა ღონისძიებებს რეგულარულად ვატარებდეთ, მაგრამ გაფორმებული ყველაფერი კ ა რ გ ა დ გვაქვს — გეგმები, რაზმის ალბომი... კედლის გაზეთის გამოშვება გვინდოდა, გავაფორმეთ კიდეც, მაგრამ წერილების ჩაწერას თავი ვერ მოვაბით... შეიძლება, ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ ჩვენი ხელმძღვანელი, ელზა ციცქიშვილი, არ გვეხმარება...

ნინო ბაქაქური, VI-ბ კლასის პიონერი, I რგოლის ხელმძღვანელი:

ორიოდე შეკრება ჩავატარეთ. ერთზე ჩვენი თანაკლასელის უღირსი საქციელი გავკიცხეთ, მეორეზე აკადემიური მოსწრების დონეზე ვიმსჯელეთ... მაგრამ თითქოს რაღაც აკლდა ამ შეკრებებს, უფერული, უღიმღამო გამოგვივიდა... საერთოდ, ჩვენი ბავშვები ნაკლებად აქტიურობენ. ერთი მაგალითი: ჯართისთვის ლაშქრობა რომ გამოვაცხადეთ, დანიშნულ დღეს მხოლოდ ხუთი თუ ექვსი პიონერი მოვიდა და იმათაც ფაქტიურად არაფერი გაუკეთებიათ...

ლელა გოგუაძე, IV-ა კლასის რაზმის ხელმძღვანელი, VIII-ა კლასის მოსწავლე, კომკავშირელი:

IV-ა კლასის პიონერული რაზმის ხელმძღვანელობა რომ დამავალეს, უარი არ მითქვამს. მაგრამ მუშაობა არ გამომივიდა, ალბათ იმიტომ, რომ შეუჩვეველი ვარ... წინა წლებში თითქოს ყველაფერი იოლად კეთ-

დებოდა... თან დროც ცოტა მაქვს: აქეთ — სწავლა, იქით — მუსიკა...

ელზა ციცქიშვილი, VI-ბ კლასის რაზმის ხელმძღვანელი, VIII-ბ კლასის მოსწავლე, კომკავშირელი:

ალღო ვერ ავუღე პიონერებთან მუშაობას. შეიძლება იმის გამო, რომ გამოცდილება არ მქონდა. როცა თვითონ ვიყავი პიონერი, არავინ გვაძალებდა რამე განსაკუთრებულის კეთებას, მთავარი იყო, ალბომები გაგვეფორმებინა, გაზეთი გამოგვეშვა... ერთი სიტყვით, მუშაობას შეჩვეული არა ვართ...

ლია ცაავა, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე:

პიონერებთან მუშაობას დიდი დრო და ენერგია სჭირდება, მე კი საამისო დრო არა მაქვს, რადგან, როცა გაკვეთილებს მოვამზადებ, მერე სპორტში უნდა ვიმეცადინო... მიუხედავად ამისა, რასაც ელისო ხელმძღვანელი მავალებს, ვაკეთებ... ელისო ხელმძღვანელი მეუბნება, ინიციატივიანი არა ხარო. საკუთარი ინიციატივისათვის დრო რომ არ მრჩება?..

ელისო შალიტაური, სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი:

პიონერებს რა უნდა ვუსაყვედურო, როცა ხელმძღვანელები თავს არიდებენ მუშაობას. ლელაც, ელზაც და ლიაც უდროობას იმიზეზებენ. სწავლა კარგია, მუსიკაც, სპორტიც, მაგრამ როცა რამე გავალია (მით უმეტეს, თუკი ეს დავალება თავზე არ მოუხვევიათ), უნდა გაიჭირვო და დროც უნდა გამონახო, რათა არ დაალალატო ის, ვინც გენდო. ლელა და ელზა მხოლოდ ფორმალურად არიან ხელმძღვანელები. არასერიოზულად მიმაჩნია მათი განცხადება — მუშაობას შეჩვეული არა ვართო. თუ არ მოინდომე, ისე როგორ უნდა შეეჩვიო? ჩვევა ხომ თვით მუშაობის პროცესში გამომუშავდება!.. სამწუხაროდ, ჩვენი სკოლის კომკავშირის კომიტეტი იმთავითვე ინერტული იყო პიონერული მუშაობის მიმართ. ესეც იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციის საკითხი რაიკომის ბიურომ განიხილა, მდივანი გაათავისუფლა და საყვედურიც მისცა. ახალი მდივანი, ლერი დემეტრაშვილი, აქტიური და უნარიანი კომკავშირელია. ვფიქრობ, მისი ხელმძღვანელობით კომკავშირულ ორგანიზაციაში, ბოლოსდაბოლოს, აღმოიფხვრება ფორმალიზმის ფესვები და ეს კეთილმყოფელად, გამაჯანსაღებლად იმოქმედებს პიონერული რაზმეულის მუშაობაზეც... მეტ ყურადღებას მოველით პედაგოგიური კოლექტივის მხრითაც. ნანა ტატუნაშვილი, დოდო თევდორაძე, ეთერ ტულუში ბევრს მეხმარებიან, კარგი იქნება, თუ სხვა პედაგოგებიც მიბაძავენ მათ...

მე ძალიან კმაყოფილი ვარ IV-ა კლასის პიონერული რაზმით. მან მართლაც საინტერესო მუშაობა გააჩაღა. ამაში საკმაოდ დიდი წვლილი ეკა კორძაძეს უდევს, რომელმაც შეძლო, თავისი მგზნებარება გადაედო ამხანაგებისათვის... ჩვენ უკვე შეთვალიერებული გვყავს რამდენიმე აქტიური, ეკასავით ინიციატივიანი პიონერი, რომლებიც შეძლებენ რაზმის გაძღოლას... კომკავშირელი რაზმის ხელმძღვანელების კანდიდატურებიც შევარჩიეთ... ერთი სიტყვით, ვიმუშავებთ, თანაც ვიმუშავებთ ისე, რომ ჩვენი საქმიანობა მარტო ქაღალდზე კი არ აისახოს, არამედ მოზარდის სულსა და გონებას დააჩნდეს და სასიკეთოდ მიმართოს მისი ყოველი მოქმედება.

## ჩვენი შემოქმედება



ლეილა კალატოზიშვილი,
კავთისხევის საშუალო სკოლის VI კლასი.
შემოდგომა.

### კომკავშირი

კომკავშირი მუდამ იყო
შემტევი და გმირთა გმირი;
დღესაც გვავსებს სიამაყით
ვაჟკაცობა კორჩაგინის.

როს ფაშიზმის ბნელი ძალა
მოესია ჩვენს მთა-ველებს,
კომკავშირმა მისებურად
მიაგება ცეცხლი მკვლელებს.

შედრკა მტერი... მოეჯარა
მწუხარება ასჯერ ასი;
აოცებდა თავდადება
გასტელოს და ზოიასი.

ისინი ხომ კომკავშირმა
დააწრთო და ეაკვანა;
მამულისთვის დაცემულნი
ცოცხლებივით დღესაც დგანან.

ელგუჯა მარლია,
წალენჯიხის რაიონის ლიის საშუალო სკოლა, IX კლასი.

# რას შეისწავლის ეთოლოგია

მეტად რთული, მრავალფეროვანი და საოცრებებით აღსავსეა ჩვენი გარემომცველი სამყარო. ბუნების პარადოქსულობა ყოველთვის აოცებდა და აინტერესებდა ადამიანს. ბევრი რამ მისი გონებისათვის მიუწვდომელი იყო...

ალბათ სწორედ ბუნებასთან ურთიერთობაში გაუჩნდა მას „მარადიული კითხვები — „როგორ? რისთვის? რატომ?“. მართლაც, რომ დავხედოთ, ვთქვათ, ფუტკრის ფიჭას, შეუძლებელია მსგავსი კითხვები არ დაგვებადოს. როგორ შესძლო ფუტკარმა თავი გაერთმია რთულზე რთული მათემატიკური ამოცანისათვის — იმდაგვარად აეშენებინა ფიჭის კედლები, რომ მასალის უმცირესი დანახარჯით მაქსიმალური მოცულობა მიეღო? მათემატიკური გაანგარიშებით ეს ამოცანა ერთადერთი ხერხით იხსნება. სამი განზომილების მიხედვით, უჯრედებს, რომელთაგანაც თითოეული ექვსკუთხედის საფუძველს წარმოადგენს, უნდა ჰქონდეთ 70 გრადუსისა და 32 მინუტის სიდიდის კუთხეები.

ფიჭის უჯრედებს სწორედ ასეთი კუთხეები აღმოაჩნდათ.

ცოცხალ არსებათა „მიზანდასახული ქცევების“ მთავარი გასაღები მილიონი წლების განმავლობაში მიმდინარე ბუნებრივი შერჩევის პროცესში უნდა ვეძებოთ. როგორ მიმდინარეობდა ეს შერჩევა, თვისებათა დახვეწა, ინსტინქტებისა და ქცევების უნიფიცირება? ეს და მრავალი სხვა საკითხი მეცნიერებისათვის ჯერჯერობით უცნობია.

ხანგრძლივმა დაკვირვებებმა დაადასტურა, რომ ცხოველთა თვისებები მრავალ ასპექტში ადამიანისას წააგავს. უფრო მეტიც — დარვინმა იშვიათი თანამიმდევრობით და დამაჯერებლობით დაამტკიცა, რომ ადამიანი ცხოველური წინაპრისაგან, კერძოდ, მაიმუნისაგან წარმოიშვა.

დროთა განმავლობაში ცხოველთა ქცევებზე დაკვირვება სულ უფრო საინტერესო შედეგებს იძლეოდა. ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებში მეცნიერების ამ სფეროში უდიდესი აღმოჩენები მოახდინეს კონრად ლორენცმა და ნიკო ტინბერგენმა. სწორედ ისინი ითვლებიან ცხოველთა ქცევების შემსწავლელი მეცნიერების — ეთოლოგიის მამამთავრებად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათ მიაგნეს ცხოველთა ეგრეთწოდებულ „სასიგნალო კოდს“, ე. ი. ჩასწვდნენ ცხოველთა სასაუბრო ენის საიდუმლოებებს.

ლორენცისა და ტინბერგენის მეცნიერულმა მიმართულებამ ბევრი ახალგაზრდა მკვლევარი დააინტერესა, რამაც თავის მხრივ ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, პედაგოგიკისა და სხვა მომიჯნავე დისციპლინების არნახული განვითარება გამოიწვია.

ჯერალდ დარელის, ჟორჟ შალერის, სალი კერიგერის, ჯეინ გუდოლისა და სხვათა სახელები ამჟამად ბევრისათვის არის ცნობილი. მათი მეცნიერულ-პოპულარული წიგნები მკითხველთა დიდი ინტერესით სარგებლობს.

მათმა დაკვირვებებმა ცხოველთა ქცევებზე საინტერესო კუთხით დაადასტურა დარვინის „ევოლუციური თეორიის“ ჭეშმარიტება, ძირეულად შეცვალა ჩვენი შეხედულებანი ცხოველთა ფსიქიკაზე, მათს სასიცოცხლო ორგანიზაციაზე, ინტელექტზე და, ასე განსაჯეთ, მორალზეც კი.

მნიშვნელოვნად შეირყა საფუძველი „ჯუნგლის კანონის“ ტრადიციულ გაგებასაც. ცხოველთა სამყაროში, მართალია, არსებობს ბრძოლა მდედრის თუ საცხოვრებელი ტერიტორიისათვის, მაგრამ ეს ხდება გარკვეული წესების დაცვით — სერიოზული დასახიჩრებისა და სასიკვდილო ჭრილობების მიუყენებლად.

არანაკლებ საინტერესოა ცხოველებში იერარქიის ანუ ინდივიდთა რანგის მიხედვით სუბორდინაციის საკითხი. ჯოგს, ხროვას რომ წინამძღოლი ჰყავდა, ეს ბევრად ადრე იყო ცნობილი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ წინამძღოლისადმი დაქვემდებარების კანონი ეხება ყველას, გამონაკლისის გარეშე.

ცხოველთა ჯოგების თუ ოჯახებისთვის ასეთ ორგანიზაციას დიდი სარგებლობა მოაქვს — იგი გამორიცხავს ზედმეტ სისხლისღვრასა და უსიამოვნებებს.

ბევრი დამატებითი მნიშვნელოვანი ცნობა დაგროვდა, ასევე, ცხოველთა ტერიტორიულობაზე, მათს კანონზომიერ გადაადგილებაზე — მიგრაციაზე, თავდაცვით შეფერილობაზე — მიმიკრიაზე და ა. შ.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



მაიმუნი კაპუცინი



გეპარდი თავის კნუტებთან



ვარხვი



ჩხიკვი ბარტყებით



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფანტასტიკის მუზეუმი

შვეიცარიაში გაიხსნა მსოფლიოში პირველი ფანტასტიკის მუზეუმი. აქ თავმოყრილია ყველა ქვეყნის ცნობილი ფანტასტიკოსი მწერლების თხზულებები და ამ თხზულებათა ილუსტრაციები. მუზეუმი საბჭოთა კავშირიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან იღებს პერიოდულ გამოცემებს, რომლებშიაც მეცნიერულ-ფანტასტიკური ნაწარმოებები იბეჭდება.

### ქარვა მაიელებთან?

მექსიკელმა ისტორიკოსებმა აღმოაჩინეს მაიელთა სამარხები, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეს მიეკუთვნებიან. სამარხებში სხვა საგნებთან ერთად იყო ქარვის სამკაულიც. ამან მეცნიერები განაცვიფრა. საქმე ის არის, რომ ქარვის სამშობლოა ბალტიის ზღვის ნაპირები. სწავლულთა აზრით, ეს ნაპოვნი კიდევ ერთი დადასტურებაა იმ ჰიპოთეზისა, რომლის თანახმადაც ევროპელები კოლუმბამდე დიდი ხნით ადრე სტუმრობდნენ ამერიკის კონტინენტზე.

### სად მდებარეობს ევროპის ცენტრი?

ადვილი როდია იმის განსაზღვრა, თუ სად მდებარეობს ევროპის გეოგრაფიული ცენტრი. ამ ტიტულის პრეტენდენტი არაერთი ქალაქი და სოფელია, მათ ლიდერად გვევლინება პოლონური სოფელი სუხოვოლია. მის მკვიდრთა მტკიცებით, ევროპის ოთხ უმაღლეს წერტილს შორის თუ ორ სწორ ხაზს გავავლებთ, ისინი ერთმანეთს მათს სოფელში გადაკვეთენ. 2126-კომლიანი სუხოვოლია ქალაქ ბელოსტოკს 60 კილომეტრით არის დაშორებული.

### ჭიების ძებნა საჭირო არ არის

თევზსაჭერ მოწყობილობათა დამამზადებელმა ტეხასურმა ფირმამ ბაზარზე გამოუშვა სენსაციური სიახლე — ხელოვნური ჭიებით სავსე ტუბები. მეთევზეებს ამიერიდან აღარ მოუწევთ სატყუარას დიდხანს ძებნა. ტუბიდან გამოგდებული ორი სანტიმეტრი სიგრძის „ჭია" თევზზე ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ცოცხალი, ნამდვილი ჭია იყოს. მაგრამ სათევზაოდ წასულებს ხშირად არც ნატურალური სატყუარა მიაქვთ თან, არც ხელოვნური, და, ცხადია, ვერაფერს იჭერენ. ეს არაა დიდი უბედურება, — ფირმამ ამ შემთხვევისთვისაც იპოვა გამოსავალი: შინისკენ მიმავალ ხელმოცარულებს შეუძლიათ მაღაზიაში შეიძინონ პლასტმასის თევზები, რომლებსაც ზუსტად ისეთივე შესახედაობა აქვთ, როგორიც ნამდვილ თევზებს და... მათივე სუნი უდით.





### ორდენი „დიდი კურდღელი"

ეს უცნაური სახელწოდების ორდენი დაარსა არგენტინელ ილუზიონისტთა კლუბმა „მაგიკომ" და იგი საუკეთესო ილუზიონისტს გადასცა. კი მაგრამ, რატა მაინცდამაინც კურდღელი აირჩიეს განმასხვავებელ ნიშნად? აი, რატომ. მსოფლიოს ხალხთა ბევრი ზღაპრის, მათ შორის ლათინური ამერიკის მკვიდრთა ზღაპრების მთავარი გმირია კურდღელი. ყოველთვის მხნე, მხიარული, იგი მახვილგონივრულად ებრძვის თავის მარადიულ მტერს მელას. სწორედ ასევე მახვილგონივრულად, მარჯვედ „ებრძვიან" ილუზიონისტებიც ურწმუნო მაყურებლებს, გამუდმებით რომ ცდილობენ დემონსტრირებული ტრიუკის საიდუმლოების გამოცნობას. არგენტინელი ილუზიონისტების ფიქრით, ამ ბრძოლას მხოლოდ ისინი იგებენ, რომლებიც „დიდი კურდღელივით" მარჯვენი არიან.

### მართლა მლაშე წყლის ბრალია?

ბუნების დაცვის საკითხებზე მომუშავე ინდოელი სწავლულები აპირებენ ჩაატარონ ექსპერიმენტი მათ მიერ წამოყენებული ჰიპოთეზის სისწორის დასამტკიცებლად — ისინი თვლიან, რომ შესაძლებელია ბენგალური ვეფხვები კაციჭამიობას გადაეჩვიონ.

სწავლულთა აზრით ბენგალური ვეფხვების აგრესიულობას იწვევს მლაშე წყალი; მტკნარი წყალი კი, პირიქით, ამშვიდებს ამ ცხოველებს. ჰიპოთეზის ავტორები ეყრდნობიან იმ ფაქტს, რომ ბენგალის უბის მარილიანი წყლით ხშირად იფარება დიდი რაიონი სუნდარბანი; სწორედ იქაური ბენგალური ვეფხვები გამოირჩევიან განსაკუთრებული სისხლისმსმელობით და ყოველწლიურად საშუალოდ ორმოცი კაცი ხდება მათი მსხვერპლი.

სწავლულები სუნდარბანში ამზადებენ დიდ წყალსაცავს მტკნარი წყლისათვის და აპირებენ სპეციალური კოშკურებიდან ხანგრძლივი დაკვირვებები აწარმოონ ბენგალური ვეფხვების ქცევებზე.

## ახალი წიგნები

### იური იარმიში

### გზები და ბილიკები

ცნობილი უკრაინელი მწერლის იური იარმიშის შემოქმედებას თითქმის სრულიად არ იცნობს ქართველი მკითხველი, ამიტომ გამომცემლობა „განათლების" მიერ შარშან გამოცემული ი. იარმიშის „გზები და ბილიკები" კარგი საჩუქარია მოზარდებისათვის. ხალხური აზროვნების წიაღიდან ამოსული და შემდგომ მწერლის კრიტიკულ გონებაში გარდატეხილი, მის მიერ მხატვრულად გააზრებული სიბრძნე წუთისოფლისა, ხშირად ესოდენ ანბანური, მაგრამ ბევრჯერ მაინც ვერ ან არდანახული ჭეშმარიტებანი — ასეთია ამ იგავების, არაკების და ზღაპრების დედააზრი.

გაიხსენეთ ეზოპე, სულხან-საბა, კრილოვი... სიბრძნით სავსეა მათი ნაწარმოებები. ვინ იცის, რამდენი ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი მიუღია ადამიანს ამ მოიგავარაკეთაგან. ი. იარმიშის წიგნშიც ბევრი თქვენგანი იცნობს საკუთარ თავს.

აი, მაგალითად, სამელნის ამბავი. იმ სამელნემ ველარ გაუძლო კალამს — ასე წვეთ-წვეთად როდის გამოვიცლებიო — და ზედ გადაელვარა ფურცელს; ან მოდასაყოლილი ტაბურეტის თავგადასავალი: ამ ტაბურეტმა, აქაოდა სამფეხა სკამები შემოიღესო, საკუთარი ხელით წაიჭრა მეოთხე ფეხი.

წიგნი ლამაზი ქართულით არის ნათარგმნი ცნობილი ქართველი მწერლის თ. გოგოლაძის მიერ.





თერმოსიდან კორპის საცობი არ ამოვარდება, თუ ხუფსა და საცობს შორის პლასტმასის საცობს დაუტნევ.



სამზარეულოში და საბაზანოში კედლის ფილების გასაწმენდად გამოიყენე ძმარშერეული წყალი (100-125 გრ. სუფრის ძმარი 500 გრამ წყალზე). ფილები ცხელი წყლით არ გარეცხო, თორემ დაიბზარება.

თუ ისეთი მაგარი ძილი იცი, რომ მაღვიძარაც კი ვერ გაღვიძებს, თეფშზე ხურდა ფული დაყარე და მაღვიძარა საათი ზედ დადგი. როცა ზარი დაირეკება, თეფში ისეთ ჟღრიალს ატეხს, ყურთასმენა აღარ იქნება.

თუ სათვალის მინები გეორთქლება, გლიცერინისა და სპირტის ნარევი წაუსვი და სუფთა ჩვრით ფრთხილად გაწმინდე.

ავტოკალმიდან თუ მელანი ჟონავს, გამშრალებულ ხრახნს პომადა წაუსვი.

მაკრატელს თუ პირი დაებლაგვა, იშოვნე ზუმფარის ქაღალდი და იმ მაკრატლით რამდენიმეჯერ გაჭერი, მაკრატელს ფხა აეწყობა.

როცა კორპის ან ხის საცობი ბოთლის ყელში არ ჩადის, იგი რამდენიმე წუთს მდუღარეში გააჩერე.

ბარს, თოხს, ცულს ან სხვა ინვენტარს პირი კარგად აელესება, თუ ცოტა ხნით მარილიან ხსნარში გააჩერებ და სველს გალესავ.

როცა კარი არ იხურება და არც გაღებული ჩერდება, კარგი იქნება, თუ კუთხეში მაგნიტის ფირფიტებს მიამაგრებ. კარის ჩარჩოზე (დახურვისათვის) და კედელზე (გაღებისათვის) მაგნიტის შეხების ადგილას [illegible]ქის ნაჭერი უნდა [illegible]დო.



თუ გინდა, ხერხს კბილი აულესო, იგი ორ ფიცარს შორის მოათავსე, ფიცრები კი გირაგში მოაქციე.



## სარჩევი


ლეონიძე გ. — ლენინი (ლექსი) . . . . . . . . . . 1 გვ.
ქინქლაძე ო. — განათლების უფლება (წერილი) . . . . . 2
იოსელიანი ო. — მტრედებს გამოტანებული ბარათები (მოთხრობა) . . . . . . . . . 4
ბადრიძე შ. — ბურჯი ქართველობისა (წერილი) . . . . . 10
მაყვალა მრევლიშვილის დაბადების 70 წლისთავი . . 11
ჩვენთან სტუმრად არიან აფხაზი მწერლები . . . . . . 12
კოცონი . . . . . . . . . . . . 25
ჭელიძე დ. — მეტისკენ მიუწევთ გული (ნარკვევი) . . . . . 26
აისი . . . . . . . . . . . . . 28
გეგეჭკორი არნ. — რას შეისწავლის ეთოლოგია (წერილი) . 30
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . . . . 31
ახალი წიგნები . . . . . . . . . . . . 31
გამოგადგება . . . . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . . გარეკანის მე-3 გვ.



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ელისო ცაგაძისა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვაჩნაძე-ჭკოჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ ზამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 26/II-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/IV-79 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^{1}/_{8}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 614 ტირ. 150.750. უე 07997.

ფასი 20 კაპიკი



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.




© „პიონერი“, 1979 წ.

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი

შ ვ ე უ ლ ა დ: 1. კომში ანუ?; 2. თუთიყუშის სახეობა; 5. სოფელი ყვარლის რაიონში; 6. მტკნარი წყლის ორსაგდულიანი მოლუსკი; 7. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში; 11. ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლის უნარი, ანუ?; 12. ტბა საქართველოში; 16. მე-18 საუკუნის ქართველი პოეტი; 17. მწერის სახეობა; 19. გარეული ცხოველი; 25. ბიბლიური ქალის სახელი; 26. თმის საღებავი.



თ ა რ ა ზ უ ლ ა დ 3. უძველესი მცენარე; 4. წყალმცენარე; 8. წარსულში ცნობილი ილუზიონისტი; 9. სამხრეთ ამერიკის უმაღლესი მწვერვალი; 10. ნუსხა, ანუ?.. 13. ბიბლიური მამაკაცის სახელი; 14. ქარიყლაპიასნაირთა ქვერიგის თევზი; 15. მცენარე ავსტრალიაში; 18. კიბოს სახეობა; 20. აირი; 21. ცხოველი; 22. მდინარე საბჭოთა კავშირში; 23. სანატრელი, საოცნებო, ანუ?.. 24. ბუვიეს რომანი; 27. ცხოველი; 28. ქიმიური ელემენტი.

მაია ჯანაშვილი,
ქ. რუსთავის მე-14 საშ. სკოლა, VI კლასი.

ფრიდრიხ შილერი

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

1

აღიმართა მარგალიტის ხიდი
მოკამკამე ლურჯი ზღვების თავზე,
შეიკონა ერთად ფერი შვიდი,
საოცარი ელვარებით სავსე.
თავს ევლება უსასრულო ციდან
ხომალდების თვალაუწვდენ ანძებს,
ოღონდ იგი ზურგით ტვირთს არ
ზიდავს
და არც დიდხანს ცაში ის არ გასძლებს.
ნიაღვარში ატყორცნილი ხიდი
ისევ ქრება, როცა ღვარი წყდება.
რაც არის და ვინც ააგო იგი,
ალბათ ყველა უმალ მიმიხვდება.

2

გადაშლილა საძოვარზე ლაღად
უთვალავი შევერცხლილი ფარა,
ჩვენ რომ ვხედავთ, იგი ასე ნახა
ძველ დროშიაც ჩვენმა წინაპარმა.
არასოდეს არ ბერდება და თან
საბალახოც ულევი აქვს მარად,
თმაჭაღარა მწყემსიც არის მასთან,
მოხრილია წელში ნამგლის დარად.
ფარეხიდან გამოდენის მყისვე,
მუდამ ღამით ითვლის ყველა მათგანს
და უკანვე რომ შელალავს ისევ,
არა ჰკარგავს იგი არც ერთ ბატკანს.
ცხვარს ნაგაზიც მუდამ გვერდით
ახლავს,
წინ მიუძღვის ვაცი, როგორც წესი,
გამოიცან, ეს რა ფარა გახლავს,
დამანახე თანაც მისი მწყემსი.

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა

მზის ჩასვლასთან ერთად
ვწვები,
ვარ თვალღია,
როცა დღეა,
ჩემს ფერს ჩემი სახელი
აქვს...
ვინ მიხვდება —
მე რა მქვია?

ჩემი მოსვლით იღვიძებს
დედამიწა თოვლიდან;
თითქოს გაქათქათებულ
თოვლზე
თოვლი მოვიდა.

გაზაფხულის დღეა,
მზიანი და წყნარი,
არსაიდან ბერავს
ნიავი ან ქარი.
ამ ბურთივით ბუმბულს
რა მიაფრენს ველად?
შეუბერავ სულს და
დაიშლება ხელად.

ჩემზე ბულბული
სიმღერებს მღერის,
კოკრად კარგი ვარ,
გაშლაც მიხდება.
ერთი ნიშანიც რომ არ
ვთქვა ჩემი,
რა ყვავილი ვარ?
ვინ ვერ მიხვდება?!

ლია ასათიანი



დედამიწის ცრემლია
და ბუნების სურვილი,
წამალია პირველი,
რომ მოიკლა წყურვილი.

სხვადასხვა სისქის,
სხვადასხვა ზომის,
ყველასთვის მუდამ
სიკეთის მდომი,
ათასი ამბის
ლამაზად მთქმელი...
აბა, მითხარი
მისი სახელი.

ტყეში იზრდება
და არ სჭირდება
მიწა მოხნული,
მოვლილ-მორწყული.
მის ნაყოფს იცავს
ეკლების ჯარი,
ნაყოფი ცვივა,
თუ არხევს ქარი.

ა. წერეთელი

### პასუხი № 3-ში მოთავსებულ ცხრაკლიტულზე

კროსვორდი

შვეულად: 1. ტიტანი; 2. კიევი; 3. ვახტი; 4. ადაჯიო; 7. ბიდონი; 8. ბარეჟი; 11. აბზაცი; 13. იბერია; 14. ატონია; 15. აბსცისა; 17. ბინოკლი; 20. ლისტი; 22. აკაჟუ; 23. ავსტრია; 24. კაოლინი; 29. ირანი; 30. პულსი.

თარაზულად: 5. დიალოგი; 6. ავოკადო; 9. ტანკი; 10. ტირანია; 12. ავიზო; 16. აბლაუტი; 18. ბელგია; 19. ჟირაფი; 20. ლინზა; 21. აგავა; 25. ავესტა; 26. ავანსი; 27. მოსკოვი; 28. რეინი; 30. პაუზა; 31. უნცია; 32. ირისი.

გამოცანები

სუსხი; ფუტკრები; მაცივარი; დრო; რუკა; წყარო; ძაბრი; ქვევრი.

შეცდომის გასწორება

№ 3-ში გამოქვეყნებულ კროსვორდში გამოტოვებულია: თარაზულად 28. მდინარე ევროპაში. ავტორის გვარია ბუზალაძე.

76157
6 110/16
ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა შემოქმედება



მწყემსები სვანურ კოშკებთან.

თორნიკე ზაქარიაშვილი, 7 წლის.



ეკლესია ტყეში.

ლევან შარაშიძე, 7 წლის.